..გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზაზა მეგრელიშვილი

ქსნის ხეობა უცხოური წყაროების მიხედვით

(XVIII ს.- XIX საუკუნის დასაწყისი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის მაგისტრის

ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ახლოური.

ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

საქართველოს ისტორიის შესწავლით ოდითგანვე იყვნენ დაინტერესებული უცხოელი მკვლევარები და მოგზაურები. მათ არაერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა საკითხების შესახებ. აქედან გამომდინარე, ქართული ისტორიოგრაფიაც ცხოველ ინტერესს იჩენდა უცხოელ ავტორთა ცნობების მიმართ.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოს წარსულთან დაკავშირებული უცხოური წყაროების მოძიება, მათი გაანალიზება, ქართულ წყაროებთან და ისტორიულ რეალობასთან შედარება. ყოველივე ამის საფუძველზე ვახდენთ უძველესი წარსულის მქონე ქსნის ხეობის ისტორიის შესაბამისი პერიოდის კვლევას, მხარის სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების შესწავლას. გარდა ამისა, ნაშრომში ნაჩვენებია მოსახლეობის მუდმივი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, საუბარია ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობების დანიშნულებასა და როლზე, სასარგებლო წიაღისეულზე, ეთნოგრაფიულ ყოფაზე...

ნაშრომში, ძირითადად, გამოყენებულია რუსული, გერმანული და თურქული წყაროები, რომლებიც მდიდარ მასალას შეიცავს მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქსნის ხეობის ისტორიის შესახებ. უცხოური წყაროები საშუალებას გვაძლევს ასევე გავაანალიზოთ, არა მხოლოდ ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოს, არამედ ზოგადად საქართველოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის თურქეთან და რუსეთთან.

Annotation

Foreign murders and travelers who have long been interested in studying the history of Georgia. They have a lot of interesting information about the political, socio-economic, cultural or other issues of our country. Due to this, Georgian historiography showed animal interest in the references of foreign authors.

The aim of our master's thesis is to find foreign sources related to the past of Ksani Saeristavo and Samukhranbatono in the eighteenth and early nineteenth centuries, to analyze them, to compare them with Georgian sources and the historical reality. Based on all this, we study the relevant period of the history of the Ksani gorge with an ancient past, the social, economic or political issues of the region. In addition, the paper shows the reasons for the constant migration of the population, the purpose and role of fortifications in the valley, minerals, ethnographic life…

The paper mainly uses Russian, German and Turkish sources, which contain rich material about the history of the Ksani Valley in the eighteenth and early nineteenth centuries. Foreign sources also allow us to analyze not only Ksani Saeristavo and Samukhranbatono, but also Georgia in general with its neighbors, including Turkey and Russia.

შინაარსი

შესავალი……..5

თავი პირველი……13

ქსნის საერისთავო……..13

1. უცხოური წყაროები ქსნის საერისთავოს სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ……13

2. ქსნის საერისთავოს სოფლების ეკონომიკური ყოფა ……48

თავი მეორე……..57

სამუხრანბატონო……57

1. სამუხრანბატონოს სოფლები თურქული წყაროების მიხედვით……...57

2. გერმანელი ავტორები სამუხრანბატონოს სოფლების შესახებ……...68

დასკვნა……72

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა……74

შესავალი

ქსნის ხეობა შიდა ქართლის ისტორიული მხარეა, რომელიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით სამი მუნიციპალიტეტის საზღვრებშია მოქცეული: ქსნის სათავიდან ოძისამდე ახალგორის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება, ოძისი დუშეთის - მუნიციპალიტეტს, ხოლო ოძისის სამხრეთით, ქსოვრისიდან ციხისძირამდე მცხეთის მუნიციპალიტეტში შედის. ისტორიულად ქსნის ხეობა ორი მძლავრი სათავადოსგან შედგებოდა: ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოსგან.

ქსნის ხეობა გამოირჩევა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, წარსულით, აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, მსოფლიო მნიშვნელობის საფორთიფიკაციო ნაგებობებით. თუნდაც ის რად ღირს, რომ ისტორიულ ქსნის საეისთავოში, ახალგორის ჩრდილოეთით, სოფელ საძეგურში 1908 წელს აღმოჩენილი იქნა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მეექვსე-მეოთხე საუკუნეებით დათარიღებული ანტიკური ხანის განძი, რომელიც ახალგორის განძის სახელითაა ცნობილი და 500-ზე მეტი ნივთისაგან შედგება, რომელთა შორისაც 300-მდე ნივთი ოქროსია. ცნობილი მეცნიერი იულონ გაგოშიძე ახალგორის განძს საქართველოში აღმოჩენილ განძთა შორის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს, ხოლო ნიკო კეცხოველის სიტყვებით, რომ ვთქვათ ნებისმიერ უწარსულო ერს ახალგორის განძი მდიდარ ისტორიას შესძენდა. ახალგორის განძის თანადროულია ქსნის ხეობის კიდევ ერთ ისტორიულ სოფელ ყანჩავეთში აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის სამარხი, საიდანაც 79 ნივთია დღემდე გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული. ზოგადად კი ქსნის ხეობაში ადამიანის ნამოსახლარს პალეოლითის ხანაში მივყავართ, რაც არაერთი ბრწყინვალე არქეოლოგიური მონაპოვრით დასტურდება.

გეოგრაფიულად ქსნის ხეობა აღმოსავლეთით არაგვის ხეობას ესაზღვრება, მის დასავლეთით ლეხურის ხეობაა, ჩრდილოეთით - ლომისის ქედი, სამხრეთით - მტკვარი, სადაც მდინარე ქსანი ჩაედინება.

ქსნის ხეობა თავის მხრივ სამი სხვადასხვა ხეობისაგან შედგება - ჭურთის, ჟამურ-ქარჩოხისა და ცხრაზმისაგან. ამ ხეობების გზაგასაყარს წარმოადგენს ისტორიული სოფელი ლარგვისი, რომელიც მდებარეობს ახალგორიდა 18 კმ-ის დაშორებით და რადგანაც აქ ერთდებოდა ქარჩოხ-ჟამურისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზები, ლარგვისი იქცა ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად.

ქსნის ხეობა ერთ-ერთი საიმედო საყრდენი იყო სამეფო კარის ძნელბედობის ჟამს, როგორც საიმედოდ გამაგრებული და გარეშე მტრებისთვის კარგად ჩაკეტილი. მის საიმედოობას მთიანი, ვიწრო ხეობაც განსაზღვრავდა, რაც მტერს თავისი მრავალრიცხოვნობის გამოყენების საშუალებას არ აძლევდა: „ქსნის სათავიდან ჩრდილოეთით გადადიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საცალფეხო ბილიკები: ლომისაზე გადავლით მგზავრი უკავშირდება როგორც თრუსოს ხეობას, ისე არაგვის ხეობას, ე.ი. სამხედრო გზას. ასევე ლომის ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზა-ბილიკი ქარჩოხის ხეობაში და სხვა. ამ ბილიკებით მტერი ვერ გადმოდიოდა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ არაგვის გზა (სამხედრო გზა) ჩაკეტილი იქნებოდა, მაშინ იძულებული გახდებოდა ლომისის ქედის ბილიკით გადმოსულიყო ქსნის ხეობაში, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. ეს ბილიკები უფრო გამოყენებული იყო შინაფეოდალურ ბრძოლაში"[1]

ქსნის ხეობა ადმინისტრაციულად ქართლის საერისთავოს მიეკუთვნებოდა, ადგილობრივი ხელისუფალნი კი მეფეს ემორჩილებოდნენ: „სახელითა

[1] (მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1968: 10)

ღმერთისაითა ესე ხელი ჩუენ რამან და გიორგი დავწერეთ ოდეს კონსტანტი ქართლისა გამგებელი იყო. ჩუენ ცხრაზმის ხევის ხევისუფლად ვიყვენით, მას ჟამს ავაგეთ წირქვოლნი"[2].

მეათე საუკუნით დათარიღებული ქვაზე ამოკვეთილი ეს წარწერა მეჯუდის ხეობიდან, გვამცნობს ცხრაზმის ხევისუფალთა ქართლის გამგებლისადმი დამოკიდებულებაზე.

საკითხის აქტუალობა: როგორც ქსნის ხეობის, ისე სამუხრანბატონოს კვლევა, მითუმეტეს უცხოური წყაროების ანალიზის ფონზე, ფრიად საშურ და აუცილებელ საქმედ გვესახება, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტი, რომლის უდიდესი ნაწილი ქსნის საერისთავოს შემადგენელი ნაწილი იყო, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია. ოკუპანტი სახელმწიფოს მესვეურთა იდეოლოგია მიმართულია ისტორიის გაყალბებისკენ, რათა გაამართლონ და გაიხანგრძლივონ უცხო ქვეყანაში ყოფნა. მათი კარის ისტორიკოსები გულმოდგენად ცდილობენ იმის ჩვენებას, თითქოს ახალგორის მხარე ჩრდილო კავკასიიდან მოსული ოსების სამშობლო იყო. ჩვენ ყოველივე ამას უნდა დავუპირისპიროთ არა გაყალბებული, არა გაზვიადებული და მოგონილი, არამედ რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ისტორია, ამ მხრივ კი უცხოურ წყაროებზე დაკვირვებას, მათ ჯეროვან შესწავლას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

კვლევის მიზანი და ამოცანა: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის უცხოურ წყაროების ანალიზის შედეგად ვაჩვენოთ ქსნის ხეობის სათავადოების - ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოს დემოგრაფიული მონაცემები, ეკონომიკური ყოფა, სოციალური და კულტურული ვითარება. გავეცნოთ, თუ რა საქმიანობას ეწეოდა ამ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა, რა სახის გადასახადებს იხდიდნენ, მეურნეობის რომელი დარგები იყო პრიორიტეტული და ასე შემდეგ. უცხოელ ავტორთა ცნობების

[2] (ბოჭორიძე გ., ორი ფილქვა, საისტორიო მოამბე, 1925, 1, 96-106)

ქართულ წყაროებსა და ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებთან შეჯერების გზით, შევეცდებით დავაზუსტოთ წყაროებში მოხსენიებული მთელი რიგი სოფლების სახელწოდებები და განვსაზღვროთ მათი ადგილმდებარეობა.

კვლევის მეთოდები: საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს; პრობლემა შესწავლილია ისტორიზმის პრინციპით, - საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ამ ისტორიული მხარის განვითარების ჭრილში. ნაშრომში უცხოური წყაროების საფუძველზე ქსნის აღიწერება ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, კვლევა ასევე დაეყრდნობა ისტორიულ-შედარებით მეთოდსა და არსებული მასალის კრიტიკულ გააზრებას. ხშირ შემთხვევაში ვიშველიებთ უცხოურ ტექსტებს, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კი გვეხმარება მთელი რიგი ფაქტების დაზუსტებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ისტორიული მხარის თითქმის ნახევარი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ნაშრომში გამოყენებული წყაროები კიდევ ერთხელ იქნება იმის მტკიცებულება, რომ ეს ტერიტორია წარმოადგენდა და წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს.

ასევე ნაშრომში შესწავლილი უცხოური წყაროები ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ქსნის ხეობის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე, სადაც განხილულია თითქმის ყველა სფერო: სოციალური, ეკონომიკური, კულტურული...

ნაშრომის სიახლე: როგორც ქსნის საერისთავოს, ისე სამუხრანბატონოს კვლევა დიდი ხანია მიმდინარეობს და ამ მხრივ არაერთი საინტერესო ნაშრომი შეგვიძლია დავასახელოთ, მათ შორის: ი. ჯავახიშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის, ს. მაკალათიას, ჯ. გვასალიას, გ. ჯამბურიას, გ. ოთხმეზურის, ვ. ღუნაშვილის, გ. სოსიაშვილის, დ. ახლოურის, ვ. ქენქაძის და სხვათა მონოგრაფიები. დასახელებულ ავტორთა წიგნებში, ბუნებრივია, ვრცლადაა გაანალიზებული უცხოურ წყაროთა მონაცემებიც. ასევე, საყურადღებოა, კონკრეტულად უცხოურ წყაროებზე დაყრდნობილი კვლევები,

როგორიცაა დ. ახლოურის „იოჰან გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში" (2007) და გ. სოსიაშვილის „ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით (XVIII საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისი, 2014). მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხრიდან შესაბამისი პერიოდის უცხოური წყაროების ერთიანი, კომპლექსური ანალიზი პირველი ცდა იქნება.

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, საკითხის უკეთ შესწავლისათვის, გამოყენებულ იქნა უცხოური წყაროები ქსნის ხეობის შესახებ, ასევე ქართული ნაშრომები, სადაც უცხოური წყაროებია გაანალიზებული და ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევართა ნაშრომები. მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ზოგიერთი მათგანი:
მეთვრამეტე საუკუნის თურქულ წყაროებზე საუბრისას აღსანიშნავია გურჯიზადესა და ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობები.

გურჯიზადე წარმოშობით ქართველი იყო, თუმცა როგორც ცნობილია, სპარსელების სამსახურში იმყოფებოდა და რეჯებ ფაშას ხელქვეითი გახლდათ. კარგად იცნობდა სპარსეთისა და ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას. იგი 1723-24 წლებში ოსმალთაგან ქართლის დაპყრობის ისტორიას გადმოგვცემს, რომლის თვითმხილველიც იყო. გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი" ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ (1975).

ქუჩუქ ჩელები ზადე 1722-1729 წლებში კანცელარიის ხელმძღვანელი ყოფილა და სამსახურებრივად ევალებოდა მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაცია.

ქართლის დაპყრობას მოსახლეობის აღწერა და გადასახადების დაკისრება მოჰყვა, რის შესახებაც საუბარია თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრში, რომელიც 1728 წლით თარიღდება.

ოსმალური ტექსტი აკად. ს. ჯიქიას და პროფ. ნ. შენგელიას მიერ იქნა ქართულად თარგმნილი, შესწავლილი და გამოცემული [3] თავის დროზე ოსმალ ხელისუფალთა მიერ შედგენილი დავთარი საინტერესო ცნობებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის და მათ შორის ქსნის ხეობის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა საკითხების შესასწავლად.

ამ მხრივ, ანალოგიურ საინტერესო ცნობებს შეიცავს პროფ. ნ. შენგელიას მიერ თურქულიდან ნათარგმნი და 2008 წელს გამოცემული სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს თურქულ წყაროთა მონაცემები ერთმანეთს შევადაროთ. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები ქრონოლოგიურად ახლოსაა ერთმანეთთან, გარკვეული ცვლილებები შესამჩნევია, რაც გაანალიზებული იქნება ნაშრომში.

ქსნის ხეობის შესახებ არსებულ უცხოურ წყაროებზე საუბრისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის ცნობები, იგი გახლდათ პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილე. მან თავისი მოგზაურობის საკმაოდ დიდი ნაწილი გაატარა ახალგორში, მუხრანსა და ლარგვისში, საკუთარი თვალით ნახა იქ არსებული ვითარება და თავის აღწერებში გადმოგვცა საყურადღებო მონაცემები ქსნის ხეობის ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების, კლიმატური პირობების, მადნეული და მინერალური რესურსების, სამთო საქმის, გზების, გადასასვლელების, სამეურნეო ყოფის, მრეწველობის დარგების, ხელოსნობის, ვაჭრობის, ეთნოგრაფიის, რელიგიის, ენებისა და დიალექტების შესახებ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 1962 და 1964 წლებში ორ ტომად გამოსცა გ. გელაშვილმა.

---

[3] (თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009 - 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009).

საყურადღებოა კიდევ ერთი გერმანელი მოგზაურის იაკობ რაინეგსის ცნობები, სადაც ვხვდები მასალას ქსნის ხეობის შესახებ. იგი იყო რუსეთის რეზიდენტი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის კარზე. ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში (1774-83) და რამდენიმე აღმოსავლურ ენასთან ერთად კარგად იცოდა ქართული ენა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თბილისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. რაინეგსის ნაშრომი „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“ 1796-1797 წლებში ორ წიგნად გამოსცა პეტერბურგის აკადემიამ და იგი შეიცავს საყურადღებო ცნობებს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური თვალსაზრისით და კავკასიათმცოდნეობის მნიშვნელოვანი წყაროა. იაკობ რაინეგსის ცნობები საქართველოს შესახებ (რომელიც ძირითადად ემყარება პეტერბურგის აკადემიის მიერ გამოცემულ შრომას), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა (2002).

გერმანელ ავტორებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ცნობილ მეცნიერსა და მოგზაურს ედუარდ აიხვალდს. მართალია იგი კავკასიაში ჩვენი განსახილველი პერიოდიდან ცოტა მოგვიანებით, 1825-1826 წლებში იმყოფებოდა, მაგრამ მის მიერ დატოვებულ ცნობები დიდ დახმარებას გაგვიწევს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებისას. აიხვალდმა თითქმის მთელი საქართველო მოიარა და, როგორც თვითმხილველმა, დაწვრილებითი აღწერა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობა, ეკონომიკურ ვითარება; შემოგვთავაზა მინერალოგიური და ბოტანიკური გამოკვლევები. აღწერა ხალხის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ქალაქები, სოფლები, ეკლესიები, სავაჭრო გზები და ა.შ. ედუარდ აიხვალდის ცნობები გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა (2005).

უცხოურ წყაროებზე საუბრისას, სადაც ქსნის ხეობის შესახებ ვხვდებით ცნობებს,

ხაზგასასმელია 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის კაპიტან კარლო დე გრაი დე ფუას მემუარული ხასიათის რელაცია. იგი გახლდათ ფრანგი ოფიცერი და მისი პუბლიკაციაც ფრანგულ ტექსტს წარმოადგენს. დე გრაი დე ფუა ტოტლებენთან ერთად 1770 წლის სექტემბერში შემოვიდა საქართველოში. მოგონებები კი 1777–1783 წლებში დაწერა. რელაცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა. წყარო, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა (1985).

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის წყაროებიდან, საკითხის კვლევისას უაღრესად მნიშვნელოვანია 1804 წელს ჩატარებულ პირველ რუსული კამერალური აღწერის მონაცემები. აღწერის ბეჭდური პირი დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. იგი მუზეუმისთვის 1956 წელს გადაუცია სარგის კაკაბაძეს. როგორც იგი მიგვანიშნებს: „აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათანადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სოციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა. ცალკე მეკომურთა საკუთრებად ნაჩვენები მცირე რაოდენობის მიწა შეადგენს მათ მფლობელობას. სათიბი, საძოვარი, ტყე და ნაწილობრივ სახნავი მიწაც მთაში საერთო სათემო მფლობელობაში იმყოფებოდა."[4] აღსანიშნავია ისიც, რომ გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული კამერალური აღწერები მონოგრაფიულად შეისწავლა შეისწავლა და გამოსცა გორის უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ალიმბარაშვილმა ნაშრომში ორი ნაწილისაგან შედგება.[5] პირველ ნაწილში შესწავლილია 1804 წელს ჩატარებულ სახაზინო და

[4] (გსიემ, 1956 - გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486: 5).

[5] (ალიმბარაშვილი ი., შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021).

საბატონო სოფლების პირველი კამერალური აღწერა, მათ შორის ქსნის საერისთავოს 68 სოფლის. მეორე ნაწილში კი მთავარმართებელ ერმოლოვის ინიციატივით ჩატარებული 1818 წლის აღწერის მონაცემებია გაანალიზებული...

თავი პირველი

ქსნის საერისთავო

1. უცხოური წყაროები ქსნის საერისთავოს სოფლებისა და მოსახლეობის შესახებ

ქსნის საერისთავო ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო - ადმინისტრაციული ერთეული გახლდათ. თვითონ ხეობაში კი ადამიანი პალეოლითის ხანიდან მკვიდრობდა. მოსახლეობის კვალი ინტენსიური გვიანდელ ბრინჯაოსა და ანტიკურ ეპოქაში ჩანს. არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხეობის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილში, რამდენიმე ცენტრი არსებობდა, მათ შორის ლარგვისი, საძეგური, ყანჩავეთი, აღაიანი...). ცნობილი მეცნიერის ჯ. გვასალიას მიხედვით: „ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობაში ორი ადმინისტრაციული ერთეული იყო: ქსნისხევი (ცენტრი ყანჩაეთ-წირქოლი) და ცხრაძმისხევი (ცხრაზმისხევი) (ცენტრი ლარგვისი. ქსნის საერისთავოს ისტორია ფაქტობრივად ცხრაზმისხევისა და ქსნის ხევის ანუ მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიაა."[6] მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისიდან აბაზასძეთა სანახებს ანუ ქსნის ხეობის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს ცხრაძმისხეველი

[6] (გვასალია ჯ., ქსნის საერისთავო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 10, 1986: 563).

ერისთავები - ქვენიფნეველები ეუფლებიან[7] მე-16 საუკუნე დიდი ცვლილებების ხანაა ცხრაძმისხეველი ერისთავების - ქვენიფნეველების ისტორიაში, ისინი იცვლიან ძველ სამკვიდრო ადგილს და რეზიდენცია მთიდან ბარში - ახალგორში გადმოაქვთ. „ამავდროულადტოვებენ ქვენიფნეველობას და გვარად იღებენ თანამდებობის განმსაზღვრელ ერისთავის ტიტულს, საერისთავოს კი კერძო სამფლობელოდ აცხადებენ . ასევე ცვლიან საერისთავოს სახელს და ცხრაზმისხევის ნაცვლად იწოდებიან ქსნის საერისთავოს ერისთავებად. ამასთანავე ხაზს უსვამენ ერისთავთერისთავის ტიტულს... აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად ერისთავები ირჩევენ ახალ საგვარეულო სამკვალეს, მამა-პაპეულ ვირშაში შემავალ ერთ დროს კოლონკეთის ტერიტორიაზე აგებულ თამარის ქალწულობის დროინდელ უბრწყინვალეს იკოთის ტაძარს[8]

მე-17 საუკუნიდან, მას შემდეგ რაც ქსნის ერისთავებს რეზიდენცია ახალგორში გადმოაქვთ, საერისთავოს საზღვრების სამხრეთით გაფართოებასთან ერთად, საერისთავოს და მისი ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. აქ მუშავდება არაერთი გეგმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, გავიხსენოთ თუნდაც ქსნის ერისთავთა მონაწილეობა ბახტრიონის ცნობილ აჯანყებაში (1660) და შანშე ერისთავის მმართველობის პერიოდი, როცა ახალგორი ოსმალობისა და ყიზილბაშობის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ კერად იქცა[9] რაც შეეხება ზოგადად ქსნის საერისთავოს წარმოშობის საკითხს, რთულია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა

---

[7] (გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III. თბ., 1967: 47; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983: 158).

[8] (ქენქაძე ვ., ქსნის ერისთავების საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2016: 5).

[9] (ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2006: 151).

გამოთქვა საყურადღებო მოსაზრება. ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარის დ. ახლოურის მოსაზრებით: „უფრო მისაღები უნდა იყოს იმ მკვლევართა მოსაზრება, ვინც ქსნის საერისთავოს წარმოშობას ფარნავაზის მეფობის ხანას უკავშირებს და ძველი წელთ აღრიცხვით მეოთხე-მესამე საუკუნეებით ათარიღებს. ამის თქმის უფლებას ქსნის ხეობაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზი გვაძლევს[10]

ქსნის საერისთავოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების ანალიზს კი თურქული წყაროებიდან დავიწყებთ.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ერთ-ერთი საყურადღებო და საუკეთესო წყაროდ მიიჩნევა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესასწავლად და მას მე-18 საუკუნის ისტორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით. თურქული წყარო გამოცემულია ორ ტომად. ჩვენი საკვლევი არეალის შესახებ მასალა პირველ ტომშია განთავსებული, სადაც ქსნის საერისთავო წარმოდგენილია მისი მმართველის შანშე ერისთავის ნაჰიეში, სამუხრანბატონო კი - მუხრანის ნაჰიეში. წყაროს მიხედვით, შავი არაგვისა შანშეს ნაჰიეს სოფლების რაოდენობა 52-ს შეადგენს, დიდი სოფელი ჩანს ახალგორი, რომელიც ქსნის საერისთავოს ცენტრი იყო. დავთარში მოცემულია სხვა სოფლების რაოდენობაც, მათი შემოსავალი და შეწერილი გადასახადი. მუხრანის ლივაში 45 სოფელია გაერთიანებული, მათი დიდი ნაწილი მოსახლეობისაგან თავისუფალია, თუმცა მაინც დაკისრებული აქვთ გადასახადების გარკვეული რაოდენობა.

ამჯერად ჩვენ ქსნის საერისთავოს სოფლებსა და მოსახლეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგორი ყველაზე უფრო დიდი სოფელია ქსნის საერისთავოში, 50 კომლია რეგისტრირებული, მათ შორის 67 მამრობითი სქესის წარმომადგენელია:

„სოფელი ახალგორი ექვემდებარება შანშას

[10] (ახლოური დ., ახალგორის ისტორია: 62).

ბაბალა ძე შერმაზანისა ავთანდილი ძე გიკუასი

გიორგი ძე ზადასი ღაბითა ძმა მისი

ბერო ძე ჯამოხანისა შაშურ ძე შერმაზანისა

გიორგი ძე მუბადასი გოგიჩა ძე მისი

ბაბულა ძე არუთინისა ბეჟანა ძე შერმაზანისა

გიორგი ძმა მისი ზურაბ ძე შაკუნისა

ოხანა ძე ბირლასი ბაბალა ძე ბაჰადურისა

გიორგი ძე ასთუმლასი გიორგი ძმა მისი

გიორგი ძე ბადასი დათუნა ძე ბერასი

გიორგი ძე ღუსუნისა გოლია ძე მუკუნისა

ივანე ძმა მისი დავითა ძე შამილასი

ოჰან ძე ბაბუნისა ზამუკა ძე მამუკასი

ბაბუნ ძე ხადადანასი თანდილა ძე მიჰრაბესი

ბაბუნ ძე მისი ზურაბ ძე ოზმაკასი

პაპუნა ძე დავითასი ალბირან ძე ფეჰლივანისა

ერეკლე ძე ზუბასი გასპარა ძე დათუნასი

მეჰრაბა ძმა მისი ურმაკა ძე ზუჰრანასი

ფირან ძე ავაზასი ოსიპ ძე ჰარნაკასი

სახო ძე ამრანასი კანდო ძე მირღადისა

გიორგი ძე ზურაბასი კანდო ძე მისი

არდენიე ძე მისი ამირკულა ძე მურანიესი

გირალუჯა ძე ბიძინასი არუთინ ძმა მისი

ბერი ძე მისი რულავერ ძე ოჰანასი

ბაბალა ძმა მისი ესტატე ძე ოთარასი

შიო ძე სირუნასი ბასო ძე გირღურასი

ბაბალა ძმა მისი ესტატე ძმა მისი

ესტატე ძე ფირუნისა ფირუნ ძე კარაპეტისა

ნასყიდა ძე მირი ბეგისა ნასყიდა ძე ღუსვარასი

ესტატე ძე მისი ბაინდურ ძმა მისი

გელუნ ძე არუთინასი ღონია ძე ფირუნისა

ავთანდილ ძე ზოჰრაბასი ბაბუნ ძე ათამუნისა

გოგია ძე როსტომასი ოთარა ძე მისი

აღუნა ძე ბერისა მახარა ძე ბაინდურისა

გუჯულა ძე მურად ბეგისა...

კაცი 67

სახლები 50

დუქნების რაოდენობა 23

ჯამი მარცვლეულისა

ისფენჯი კაცი 67[11]

ოსმალური წყარო შეისწავლა და ვრცლად მიმოიხილა პროფესორმა გიორგი სოსიაშვილმა, რომლის მიხედვით 1728 წლისთვის ახალგორის მოსახლეობა 455 უნდა ყოფილიყო. როგორც იგი წერს „თუ საშუალოდ თითოეულ ოჯახზე 7 სულს ვიანგარიშებთ (აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში კომლზე საშუალოდ 8. 32 მოსახლე, ხოლო მთიან

[11] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 423-424).

რაიონებში 7. 54 მოსახლე იანგარიშებიდა), გამოდის, რომ ახალგორში 1728 წლისთვის 455 მოსახლე ყოფილა"[12]

პროფ. დ. ახლოური ყურადღებას აქცევს აღწერაში ნახსენებ „ბეგის" ტიტულს და შესაბამისად ორ კომლს - ნასყიდა ძე მირი **ბეგის** და გუჯულა ძე მურად **ბეგის**. მკვლევარის აზრით, „სავარაუდოდ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მემკვიდრეობით მიღებული სამოხელეო საქმის გამგრძელებლები, შესაძლებელია თურქთა დაქვემდებარებაში მყოფნიც... XVI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ამ ტიტულის მფლობელები იყვნენ ზოგიერთი კატეგორიის სახელმწიფო მოხელეები"[13] გარდა ახალგორისა, თურქულ დავთარში საუბარია, შანშე ერისთავის სამფლობელოს სხვა სოფლებზე: ჰერეთში 15 კომლია აღწერილი, 26 მამრობითი სქესის მოსახლით, ჯოლისში 32 კომლი და 60 მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ჯაჯუნში 12 კომლი და 21 მამაკაცი, კურბეთში 24 კომლი და 38 მამაკაცი, ზემო ქოიში ანუ ზემო სოფელში 4 კომლი და 4 მამაკაცი, მაზანაში 18 კომლი და 26 მამაკაცი, დისოში 5 კომლი და 5 მამაკაცი, ნასთაქისში 15 კომლი და 26 მამაკაცი, დოღნავში 32 კომლი და 48 მამაკაცი, ადანსოში 9 კომლი და 9 მამაკაცი, შანადგორში 3 კომლი და 5 მამაკაცი, აჩეხკნისში 2 კომლი და 2 მამაკაცი, ახალუბანში 2 კომლი და 3 მამაკაცი, მეჯუდისხევში 7 კომლი და 13 მამაკაცი, იკორთაში 2 კომლი და 3 მამაკაცი, ჩაშაში 3 კომლი და 3 მამაკაცი, გელსიმანში 3 კომლი და 4 მამაკაცი, გირამისხევში - 7 კომლი და 7 მამაკაცი, ორდუქეთში 2 კომლი და 2 მამაკაცი, დონიჩეში 8 კომლი და 8 მამაკაცი, იკუდში 9 მამაკაცი, ზირქუდში 10 კომლი და 13 მამაკაცი, დიქლეში 2 კომლი და 2 მამაკაცი... დავთარში სოფლების ამ რიგს მოსდევს ახალგორი და შემდეგ ბილავის მამული, რომელიც რეაია დაფანტულია ანუ მოსახლეობისაგან დაცლილია[14] შესამჩნევია, რომ დავთარში როგორც საკუთარი სახელები და უფრო ხშირად კი სოფლის

---

[12] (სოსიაშვილი გ., ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით (XVIII საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისი), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2014: 11-12).

[13] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2, თბილისი, გამომცემლობა „საარი", 2021: 90).

[14] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 411-424).

დასახელებები შეცდომითაა მითითებული, რომელთა დაზუსტება, დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს. ქსნის საერისთავოს შესახებ 1728 წლის თურქული წყაროს მონაცემები გაანალიზებული აქვს ასევე ნ. გორგოძეს, თუმცა არც მის ნაშრომში არაა შანშეს მფლობელობაში მყოფი სოფლები ლოკალიზებული[15] მისი დასკვნით1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი" საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქსნისა და არაგვის ხეობაში არსებული სოფლების სახელწოდებას, თითოეული სოფლის კომლთა როდენობას[16], მაგრამ, ფაქტია, მთელი რიგი სოფლების სახელწოდება შეცვლილია და დაზუსტებას მოითხოვს.

1730-1732 წლების თურქული წყაროს „თბილისის ლივის სამეუფო ხასები" მიხედვით, 1728 წლის მონაცემებისაგან განსხვავებით, როცა ახალგორის მხარე შანშე ერისთავს ეკუთვნოდა, ამჯერად უკვე გივი ამილახვრის ხელშია და გორის კაზაში" ერთიანდება[17]

ჩნდება კითხვა, რით იყო განპირობებული ამ პერიოდში შანშე ერისთავისათვის ძალაუფლების ჩამორთმევა და მისი მამულის გივი ამილახვრისთვის გადაცემა? 1723-1735 წლების პერიოდი საქართველოში ოსმალთა მოზალების ხანადაა მიჩნეული, მანამდე, ვიდრე ოსმალობას ყიზილბაშობა არ ჩაანაცვლებდა. შანშე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველობის მეთაური იყო და რუსეთში გადახვეწილ

[15] (გორგოძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.)" მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №12, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005: 428).

[16] (გორგოძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.)" მიხედვით: 428)

[17] (სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008: 410).

ვახტანგ მეექვსეს სთხოვდა ქართლის საპატრონოდ ბაქარი გამოეგზავნა, რაშიც შანშეს ქართლის სხვა თავადებიც უბავდნენ მხარს.[18]

1728 წელს ქართლში ანტითურქული აჯანყება დაიწყო. ხელმძღვანელად სწორედ შანშე ქსნის ერისთავი გვევლინება არაგვის ერისთავთან და მაჩაბელთან ერთად. როცა ოსმალებმა აჯანყების ჩახშობა შეძლეს. სეხნია ჩხეიძის მონათხრობით, ოსმალებმა „დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა... შეუხდნენ სამაჩაბლოს" (ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, წიგნში „საქართველოს ცხოვრება", ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913: 90). მტერი ცხადია, მეთაურთა დასჯასაც გადაწყვეტდა. მათ თეიმურაზ არაგვის ერისთავი ჯერ რევაზ ერისთავით ჩაანაცვლეს, შემდეგ პაპუა ზურაბის ძით.[19]

სამწუხაროდ, აჯანყების დროს ქართველებში არ იყო ერთიანობა. ოსმალებს კონსტანტინე კახთა ბატონი და გივი ამილახვარი დაუდგნენ გვერდით. მოგვიანებით, 1733 წელს, შანშე ერისთავი ვახტანგ მეექვსისადმი გაგზავნილ წერილში, მის მამულში კახთა ბატონის ლაშქრობებზე გაამახვილებს ყურადღებას: „თათრები და კახთ ბატონი, ქართველნი, ლეკნი მომადგნენ, ჯერ ახალგორს მობრძანდა კახი ბატონი და აქ ვერა გაარიგარა, წაბრძანდა, მას უკან ლიახვზედა მომადგნენ. მღვთით და თქვენის დოვლათით ვერცრა იქიდამ გაარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველი და კახნი" (ახლოური დ., ახალგორის ისტორია: 97). ვახუშტის ცნობით, ოსმალთა ლაშქრობის შანშეს მამულში მძიმე შედეგები მოჰყოლია: „სტყუენვიდიან მამულსა შანშესასა ოსმალნი"[20]. შანშე იძულებული

---

[18] (გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი", 1955: 319; ცინცაძე ო., რამდენიმე ახალი ცნობა მე-17 საუკუნის ქართლის ისტორიისთვის, მსკი, ნაკვ., 4, 1942: 11).

[19] (ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით), გამოცემა მეორე, თბ., 2007: 510)

[20] (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973: 508)

ხდება, ქრთამი გაიღოს და დამპყრობლებს შეურიგდეს: „მისცა ქრთამი ოსმალთა, ზავ ჰყო მათ თანა".[21]

„ნეტავ მოვეკალ და არ შევრიგებოდი, ორმოცი ქისა გამომართვესო" - წუხდა ამის გამო ქსნის ერისთავი... დასჯილი ერისთავების საპირისპიროდ ოსმალები ერთგულებისთვის ასაჩუქრებდნენ თავიანთ მომხრეებს. ამით იყო განპირობებული გივი ამილახვრისთვის ქსნის საერისთავოს გადაცემა. 1730-1732 წლების თურქული წყაროს მიხედვით „ამილახვრის ნაჰიეში" შემავალი ახალგორი და ზოგადად ქსნის ხეობის მოსახლეობა კვლავინდებურად იხდიდა თურქულ ბეგარას იმავე ოდენობით, რაც 1728 წლის დოკუმენტით იყო გათვალისწინებული[22]. როგორც ჩანს, ქსნის საერისთავო დიდხანს არ ყოფილა შანშეს გარეშე. 1735 წელს იგი, როგორც ქსნისხეველთა მეთაური, ყიზილბაშთა წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას და საერთო ანტიირანულ აჯანყებას უდგას სათავეში[23]. შემდგომში უკვე ირანელები სჯიან შანშეს და 1741-1743 წლებში ქსნის საერისთავო ისევ ამილახვარს ეკუთვნის, თუმცა შანშე ისევ ახერხებს ქსანზე გაერისთავებას, ნადირ შაჰისაგან თვალებდათხრილ ერისთავს ერეკლე მეორემ დაუმტკიცა ქსნის ერისთავობა.

როცა მე-17 საუკუნის 20-30-იანი წლების თურქულ წყაროებზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ წარმოშობით ქართველ გურჯიზადეს ცნობებზე. ცნობილ მეცნიერს გიორგი ფუთურიძეს მიაჩნია, რომ იგი ადრე სპარსელების სამსახურში უნდა მდგარიყო, ხოლო, როცა ქართლში ოსმალები გაბატონდნენ, გაბატონებულთა მხარეს უნდა გადასულიყო და რეჯებ ფაშას სამსახურში ჩამდგარიყო, ამიტომაც ფლობდა კარგად სპარსულ ენას და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესანიშნავად იცნობდა ქართლში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და

[21] (მეგრელიძე დ., ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973: 448)

[22] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ.2: 91)

[23] (მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1994: 94)

პოლიტიკურ სიტუაციას და თვითმხილველი იყო ოსმალთაგან 1723-1724 წლების ქართლის დაპყრობისა, რაც ჩანს კიდეც მის მოგონებებში[24]. საყურადღებოა ასევე ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობები, რომელიც 1722-1729 წლებში კანცელარიის ხელმძღვანელი ყოფილა და სამსახურებრივად ევალებოდა მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაცია. გურჯიზადესა და ქუჩუქ ჩელები ზადეს თხზულებები ქსნის ხეობის შესახებ არაერთ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს შეიცავს.

გურჯიზადე დაწვრილებით აღწერს იბრაჰიმ, აჰმედ, რეჯებ და მუსტაფა ფაშას ქართლში ლაშქრობას, საუბრობს დიღომთან ლეკების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლის დეტალებზე, თრიალეთსა და საბარათიანოსთან ერთად ახასიათებს ქსნის საერისთავოსაც[25]. ქუჩუქ ჩელები ზადეს (ჩელები ზადე ისმაილ ასიმ ეფენდი) თხზულებაში გადმოცემულია ცნობები ოსმალთა მიერ თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ, რომელიც შესწავლილი და გამოცემული აქვს პროფ. ნ. შენგელიას. [26]

გურჯიზადე და ქუჩუქ ჩელები ზადეს ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების დაზუსტების თვალსაზრისითაც, რაზეც მიგვანიშნებს პროფ. ი ალიმბარაშვილი და აღნიშნავს, რომ ატენის (გუფთას) ანუ ზედაველას ბრძოლის დროს ერთმანეთის პირისპირ კვლავ დადგნენ ქართველები. ქართლში გაბატონებისათვის კახეთის მეფე მაჰმადყული-ხანი და იესე-მუსტაფა

[24] (ფუთურიძე გ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, №165, თბ., 1975)
[25] (გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975: 46)
[26] (ოსმალო ისტორიკოსი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ, აკად. ს. ჯიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, 1973)

იბრძვიან[27]. ამ ბრძოლაში იყო ჩართული ქსნის საერისთავოც. ქუჩუკ ჩელები ზადეს მონაცემებით, კონსტანტინეს ჯარში იყვნენ ყარაკალკანისა (არაგვის) და ქსნის ერისთავები 10 ათასზე მეტი მოლაშქრით. გურჯიზდეს მიხედვით კი უსჯულოთა (ქართველთ - ზ.მ.) ტომი ურიცხვი ლაშქრით ყარაყალკანისა და ქსნის მთებიდან ჩამოვიდა. გზად რაც კი შეხვდათ - სოფელი და დაბა დაწვეს და გაანადგურეს... ხვალ თუ არა ზეგ გორის ციხეს ალყა უნდა შემოარტყან... გორის ციხის რაბათში თავიანთი დამპყრობი ფეხი ერთხელ თუ შედგეს, ხსენებული ციხიდან ხეირი აღარ იქნებაო“ [28]

გერმანელ ავტორთა ცნობებიდან საუბარს უპირველეს ყოვლისა დავიწყებთ გიულდენშტედტის ცნობებით. იგი გახლდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და მონაწილეობდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ორგანიზებით მოწყობილ ექსპედიციებში, რომელსაც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის შესწავლა ჰქონდა დავალებული[29]. მან 1768-1775 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიაში და კავკასიის თითქმის ყველა მხარის შესახებ დაგვიტოვა ცნობები, სადაც მოთხრობილია ისტორიულ და გეოგრაფიულ ვითარების, მრეწველობის დარგების, სამეურნეო ყოფის, ბუნების, კლიმატური პირობების, მადნეული და მინერალური რესურსების, სამთო საქმის, გზების, გადასასვლელების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, ენების, დიალექტების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. [30].

გიულდენშტედტი უშუალოდ საქართველოს 1771 სექტემბერში ესტუმრა. ჩვენს ქვეყანაში გატარებული დროის საკმაოდ დიდი ნაწილი მან ქსნის ხეობაში გაატარა, კერძოდ, მუხრანში, ახალგორსა და ლარგვისში.

---

[27] (ალიმბარაშვილი ი., გურჯი ზადეს და ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობათა მნიშვნელობა ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების დაზუსტების თვალსაზრისით, გორის უნივერსიტეტის შრომათა კრებული, მიძღვნილი ქართულ-თურქული საერთაშორისო კონფერენციისადმი, 2014: 7)

[28] (გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი: 36).

[29] (ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2007: 3)

[30] (ითონიშვილი ვახტ., ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2002: 246)

1772 წლის აპრილში ახალგორში იგი დავით ქსნის ერისთავის თხოვნით წასულა ანანურის მონახულების შემდეგ „ანანურში ერისთავმა, მთელ საქართველოში ყველაზე უფრო განთქმულმა (დიდმა) და ძლიერმა მაგნატმა (ბატონმა), მიმიპატიჟა თავისთან, თავის რეზიდენციაში ახალგორში, რათა დავხმარებოდი მას ავადმყოფობაში, რაზეც მთხოვდა მათი უმაღლესობა ერეკლე მეფეც, ჩემთვის გამოგზავნილ წერილში. ზედმეტი იყო ფიქრი, რომ ამაზე უარი მეთქვა, ნაწილობრივ, რადგან ამ გარემოებით შემეძლებოდა დაუთვალიერებელი ადგილების შემოვლა. ნაწილობრივ კი სასარგებლოდ ჩანდა დამემსახურებინა ამ ბატონის წყალობა, საიდანაც ბევრ სარგებელს მოველოდი, რაც მე მართლაც მივიღე ჩემი მიქმედების შედეგად; მე მისივე საიმედო ამალით დავათვალიერე სხვადასხვა მხარეები და კვლავ დავათვალიერებ, რასაც მე სხვა პირობებში ვერ განვახორციელებდი"[31].

გერმანელი მოგზაური დავით ქსნის ერისთავს დიდ და ძლიერ ბატონად ასახელებს. მას საგანგებოდ სთხოვს ერეკლე მეორე ჩავიდეს ახალგორში და უმკურნალოს ერისთავს, რაც იმის მანიშნებელი, რომ ქსნის ერისთავი სამეფო კარისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეა. გიულდენშტედტის 1772 წლის 7 ივნისის ჩანაწერიდან ასევე ვიგებთ, რომ ერეკლე მეორეს თავად ოტია ანდრონიკაშვილის პირით უთხოვია, რომ ქსნის ერისთავის გამო კიდევ ერთი კვირა დარჩენილიყო თბილისში, საიდანაც ქსნის ერისთავი ცხინვალში გჰყვებოდა და გააცილებდა და დაიცავდა იმერეთის საზღვრამდე[32].

ქსნის ერისთავი იმ დროისთვის მნიშვნელოვან ტერიტორიას ფლობდა. მის სამფლობელოს შეადგენდა: ქსნის ალევის, საფერშეთის, ქურთის, ცხრაძმის, ჟამურის ხეობები, მაღრან-დვალეთის სანახები, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

---

[31] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., II, 1964: 143-144)

[32] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962: 105)

ქოლოთქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობები და გვერდისძირი.[33]

ქსნის ერისთავს მოგზაურისთვის ბევრჯერ 50, 100 და მეტი კაცისაგან შემდგარი რაზმი უახლებია, ზოგჯერ საკუთარი მეთაურობით, რადგან ხეობაში გადაადგილება უსაფრთხო არ იყო. „შინაური თუ გარეშე აბრაგები ყოველი ფეხის გადადგმაზე იყვნენ ჩასაფრებულნი".[34]

განსაკუთრებულ საფრთხეს ლეკიანობა წარმოადგენდა: „ილტოზის ახლოს, ქსანსა და ნარეკვავს შორის მიდის ჩვეულებრივი გზა ლეკებისა, რითაც ისინი არაგვიდან, მჭადისჯვარზე გავლით, მიდიან მთით ლამისყანამდე და ქრცხინვალამდე". [35]

ლეკიანობასთან ერთად ქსნის ხეობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ოსიანობა, მათ გიულდენშტედტი უფრო ყაჩაღებად მიიჩნევს, ვიდრე ქურდებად და ახასიათებს, როგორც ყალბებს, ფლიდებსა და სხვათა მიმართ ვერაგებს, რომელთა გამოც ხელი ეშლებოდა სამოგზაურო გეგმის შესრულებაში: „ნაწილობრივ ჩემმა ავადმყოფობამ, ნაწილობრივ კი თავდასხმებმა ლეკებისამ და ოსებისამ, რომელთაც ეკავათ საქართველოში შემავალი მთის ვიწრო გადასასვლელები, ხელი შემიშალეს წარსული წლის სამოგზაურო გეგმის მთლიან შესრულებაში".[36]

ახალგორში ყოფნისას, გარდა იმისა, რომ იგი დავით ქსნის ერისთავს მკურნალობდა, აწყობდა ექსკურსიებს და სწავლობდა იქაურ ფლორასა და ფაუნას. მოგზაური ლორწობნის მთასთან, რომელიც ახალგორის ჩრდილოეთითაა, ასახელებს გაპარტახებულ სოფელ ტონჩას, 11 აპრილს კი სწვევია ისტორიულ სოფელ ყანჩავეთს. მცენარეული საფარიდან საუბრობს ქსნის ხეობაში გავრცელებულ მუხის, თელის,

---

[33] (გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები): 327).
[34] (ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი „ლენინელი", №13, 1988: 4).
[35] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 53).
[36] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., II: 125)

ვაშლის, წიფლის, მსხლის ხეებზე, სატაცურის, მარწყვის, მჟაუნას... ბუჩქებზე. ხშირად ახსენებს „გაპარტახებულს", „ნაოხარს", რაც ლეკიანობის შედეგი იყო.

მოგზაურს მადლიერი ქსნის ერისთავი ყოველმხრივ უწყობდა ხელს წარმატებული ექსპედიციების მოწყობაში, როგორც საერისთავოს საზღვრებში, ისე საერისთავოს გარეთაც, რაზეც გერმანელი საგანგებოდ მიუთითებს. სამი კვირა დაჰყო ახალგორში პირველი სტუმრობის შემდეგ გიულდენშტედტმა, შემდეგ კი დატოვა გამოჯანმრთელებული ერისთავი და 100 კაციანი დაცვით თბილისისკენ გაემართა.

გიულდენშტედტის ქსნის ხეობაში მოგზაურობის შემდეგ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მოგზაურის ლარგვისში სტუმრობის დეტალებზე.

ლარგვისი ახალგორიდან 18 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან დაშორებულია 1110 მეტრით[37]. ლარგვისი ისტორიულად ერთმანეთთან აკავშირებდა ქსნის ხეობის მთის ხეობებს ჭურთას, ქარჩოხ-ჟამურსა და ცხრაზმას, რამაც განაპირობა, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში იყო ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი. „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, რომელიც ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე გახლავთ, როსტომ ბიბილური ლარგვისის მამასახლისის ხუციანდაბისძის რჩევით, ცხრაზმისხევში დამკვიდრებისათვის ლარგვისის მონასტერში ითხოვს სამუდამო განსასვენებელს „რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე რომელნი ღმრთივ გვირგვინოსნისა ისტვნიანე (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი, VI ს. - დ.ა.) აღმშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა". გაერისთავების შემდეგ კი ცხრაზმისხეველთა ერისთავი

[37] (მენაბდე ლ., გვასალია ჯ., საღარაძე შ., ლარგვისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ., 6, თბ., 1983: 129)

ლარგვისს ქალაქური ტიპის დასახლებად აქცევს: „აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიაი".[38]

ახალგორიდან ლარგვისამდე გზას ასე აღწერს გიულდენშტედტი: „მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე მიემართებოდა ჩრდილოეთ - ჩრდილოეთ-დასავლეთით და არის 4 საათის სავალი, ანუ 20 ვერსი. გზა მიდის კირქვიან კლდეებში, უმთავრესად მიდამოზე და არის ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს. მაღლობები უმეტესად ტყითაა დაფარული და მხოლოდ მდინარეთა ახლოს მდებარე დაბლობები არიან გამოსაყენებელი დასამუშავებლად".[39]

მისი აზრით, ქსანს ვიწრო, ღრმა, ციცაბო ხეობას უქმნის უმეტესწილად უქმნის „სუფთა, მოთეთრო, ნაწილობრივ ფიქალისებური კირქვა... ქსანზე, მდინარე ყანჩავეთის ხევზე, ახალგორთან ქანებია ქვიშიანი კირქვა ნამარხებით; იქვე მთა ლორწობანზე, რომელიც ყველაზე მაღალია ამ მიდამოში, არის 2 გოგირდიანი წყარო. მათ ახლოს, წირქოლთან არის სელენიტი (ქართული ცარცი). სოფელ საძეგურთან, ზემოთ ქსანზე, ძველად გადმოდიოდა მთის ფისი (ქართულად კუპრი), რისთვისაც კირქვას აქვს მოლურჯო-მოშავო ფერი... ბევრ ადგილებში კირქვიან ქანებს აქვთ ალმადანიანი ძარღვები რკინა-ქვით, ხოლო ნარჩენებში, თუმცა მაინც ძალიან იშვიათად, ყვითელი დარიშხანით ... ქარჩოხთან ქსანზე კირქვის ნაპრალებში გვხვდება ფიქლებრივი თიხა სპილენძის ლურჯათი".[40]

1948 წელს ქსნის ხეობაში უმოგზაურია პ. ზაქარაიას. ჩვენ რომ გავიარეთ, საბარგო მანქანა ძლივს ეტეოდა, ლარგვისის ზემოთ გზა არ იყოო - წერდა იგი[41]

---

[38] („ძეგლი ერისთავთა" (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 1954: 345)

[39] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 97)

[40](გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., II: 29)

[41] (ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბილისი, ჟურნალ „არქიტექტურა და დიზაინის" გამომცემლობა, 2002: 15)

გიულდენშტედტი ქსნის ხეობელთა ყოველდღიურ საქმიანობასაც აკვირდებოდა, მათ შორის მებადურების: „აქ თევზაობენ პატარა, ერთი საჟენი სიგრძის და სიგანის ბადით, რომელსაც ამძიმებს დაკიდული ლითონი"[42]. ქსნის ხეობის მოსახლეობა ყურადღებას არ აკლებდა მას, ზემო ქსნელებს ქსანზე დაჭერილი კალმახი და ნანადირევი მიურთმევიათ[43].

1772 წლის 30 ივნისი გერმანელმა ლარგვისის მონასტერში გაატარა. რის შემდეგ ისევ სამოგზაუროდ გაემართა: „აქ, როგორც ძალიან საიმედო ადგილას, დავტოვე სტუდენტი კრაშენინიკოვი ექსპედიციის ცხენების მომვლელთან და ორ კაზაკთან ერთად და დავუტოვე მათ ბარგის უდიდესი ნაწილი შესანახად და რამდენიმე ავადმყოფი ცხენი მოსავლელად".[44]

ლარგვისიდან გამგზავრებულმა მოინახულა ჭურთის, დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდის სოფლები, შემდეგ იმერეთსა და რაჭას ეწვია, სადაც რამდენიმე დღით შეჩერებულა... 16 სექტემბერს მოგზაური მონასტერში დაბრუნდა და არცთუ ისე მცირე ხნით, 2 კვირით დარჩა. მას მოსწონდა ლარგვისის გრილი და მშრალი ალპური ჰაერი, გახშირებული ლეკიანობის დროს, თავს გრძნობდა დაცულად და უსაფრთხოდ, მკურნალობდა გოგირდოვანი წყლებით, გამოჯანმრთელების მიზნით ყოველდღე იღებდა აბაზანებს... ლარგვისის მონასტრიდან 1 ოქტომბერს გიულდენშტედტი რუსეთში გაემგზავრა[45]. ლარგვისს, როგორც აგარაკს, ისე აგვიღწერს გიულდენშტედტი და ეს არცაა გასაკვირი, იგი, სააგარაკე ადგილად ძველი დროიდანვე გვევლინება.[46]

---

[42] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., II: 97)

[43] (ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში: 15)

[44] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., II: 153)

[45] (ახლოური დ., უცხოელ ავტორთა ცნობები სოფელ ლარგვისის შესახებ (გიულდენშტედტი, XVIII საუკუნის 70-იანი წლები), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი, 2006)

[46] (სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა", 1963: 35).

ახალგორსა და ლარგვისში ყოფნისას გიულდენშტედტმა ქსნის ხეობის არაერთი სოფელი მოინახულა. ახალგორში ყოფნის პირველ დღეებში მოუნახულებია ბაკაკი, ბუდავი, არანისი, საგალგისი, ტრონეტი, ბოდბისხევი, ხამში, ვერხველი, ჟინვალი, მინდორი და სხვა. ილტოს შენაკადზე მიგვითითებს მთისზეთის ანუ ნავთობის წყაროზე.

10 აპრილს ახალგორიდან მიემართება სამხრეთ დასავლეთით „ვიარე ახალგორიდან ერთი საათი სამხრეთ - დასავლეთით და დასავლეთ - სამხრეთ - დასავლეთით. მდინარე არკალას გაყოლებით, შემდეგ ველსა - ხევის გასწვრივ და გავიარე სოფლები ქასისხევი და არღუნი, შემდეგ იწრია და ალვანის ერთობწმინდა.

ნარეკვავამდე არღუნიდან ამ მიმართულებით 1 1/2 საათში მდინარე ძეგლისხევზე იყო სოფელი ძეგლისი; იქიდან ქსნამდე მხოლოდ 1/4 საათის სავალია.

მე ავყევი ქსნის ზევით ჩრდილოეთით და გავიარე მდინარე ორისხევი, რომლის სათავესთანაც ლორწობნის ახლოს არის გაპარტახებული სოფელი ტონჩა. აქედან მე დავბრუნდი ჩემს ადგილსამყოფელში.[47]

11 აპრილიდან გერმანელი მოგზაური უკვე ახალგორის ჩრდილოეთით მიემგზავრება და სტუმრობს სოფელ ყანჩავეთს, რომელიც ახალგორიდან 6 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ქსნის მარჯვენა მხარეს, მდინარე ყანჩაურისხევის ნაპირებზე. ზღვის დონიდან დაშორებულია 1000 მეტრით.[48]

სოფელ ერედასთან მიგვანიშნებს სელენიტის საბადოზე, ლორწობნის მთასთან კი - გოგირდის ორ წყაროს. როგორც ვხედავთ, გოგორდოვანი წყლებით მდიდარი ყოფილა ისტორიული ქსნის საერისთავოს ტერიტორია. ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან მდინარე გუმაელაზე აგვიღწერს სოფელ იკოთს, რომელიც ახალგორიდან

---

[47] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 49)

[48] (ყანჩავეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986: 622).

ჩრდილოეთით პირველი სოფელია, მდებარეობს დაბის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს. შედიოდა ბოლის თემში.

იკოთიდან აღმოსავლეთით მგზავრობისას მისულა შობში: „აქედან აღმოსავლეთიშ მიმართულებით მე მივედი სოფელ შობში, ხოლო ამის შემდეგ, 3 ვერსზე აბალში, სადაც საღამოთი გავიგონეთ სროლა და დავანთეთ ცეცხლი.

ლორწობნის მთის დასავლეთით არის არაგვისა და ქსნის შესართავები. სამხრეთით, ბახინის? (სათავე) - სამხრეთ დასავლეთით, დუშეთი სამხრეთ - აღმოსავლეთით და ახალგორი სამხრეთ - დასავლეთით, ანანური აღმოსავლეთ - ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით".[49]

მაისის დასაწყისში გიულდენშტედტი ახალგორიდან თბილისში მიემგზავრება, რითიც სრულდება მისი სამკვირიანი სტუმრობა საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრში. ახალგორიდან იგი თვითონ ერისთავს გაუცილებია 100 კაციანი მცველთა თანხმლებით. ერთი ვერსის შემდეგ გაუვლიათ განადგურებული სოფელ ძეგლევის ნაშთები და მდინარე ძეგლისხევი, 6 ვერსის შემდეგ აოხრებული სოფელ ოძისის ოთხკუთხა ვიწრო კედლები და შემდეგ ძალიან პატარა მდინარე. ოძისი იყო ქსნის საერისთავოს სამხრეთით მდებარე სასაზღვრო ზოლის სოფელი, როგორც ვახუშტი წერს, „ოძისამდე არს მუხრანისა, ოძისის ჩდილოთ კერძი კსნის ხევისა." (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: 351-352). ამჯერად ეს სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში შედის, მდებარეობს ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან დაშორებულია 800 მეტრით[50].

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დრამატურგისა და პოეტის გიორგი ერისთავის (1811-1864) მშობლიური მხარეა. ძეგლევი კი ახალგორის მუნიციპალიტეტის სალბიერის თემის სოფელია, მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე,

---

[49](გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 49).

[50] (ოძისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 7, 1984: 625)

ახალგორიდან 5 კილომეტრით, ხოლო ზღვის დონიდან 1150 მეტრითაა დაშორებული.[51]

ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ძეგლევისა და ოძისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბოგანოდაა მიჩნეული.[52]

ბოგანო იყო გლეხთა კატეგორია იყო ფეოდალურ საქართველოში, რომელიც მონღოლთა ბატონობის ხანაში წარმოიქმნა. გლეხებს ხშირად უწევდათ საკუთარი მიწიდან აყრა და გადასახლება. გაღარიბების შემდეგ ბოგანო შეიძლება მკვიდრი ყმაც გამხდარიყო. ზოგჯერ, პირიქით, ბოგანო მკვიდრი ყმა ხდებოდა, ეს მაშინ, როცა მებატონე მიწას უწყალობებდა. „ბოგანოდ ითვლებოდა უვენახო, მცირემიწიანი, ეკონომიკურად ხელმოკლე გლეხი. ამის გამო იგი არ იხდიდა ძირითად საბატონო გადასახადებს - ღალას და კულუხს, მაგრამ ყოველგვარი ვალდებულებისაგან თავისუფალი მაინც არ იყო - იხდიდა საურს, თუმცა ნაკლებს, ვიდრე მკვიდრი გლეხი (მკვიდრი - 12 შაურს, ბოგანო - 2 შაურს) ევალებოდა ლაშქარში მონაწილეობა და სხვა".[53] „რატომ უნდა ყოფილიყო ბოგანოთა კატეგორიას მიკუთვნებული ოძისისა და ძეგლევის მოსახლეობა?" - სვამს კითხვას პროფ. დ. ახლოური და მიზეზს ლეკიანობაში ხედავს - „ქსნის ხეობას მძიმე დაღი დაასვა ლეკიანობამ. გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომელიც დავით ქსნის ერისთავის თხოვნით ახალგორს 1772 წლის აპრილის დასაწყისში ეწვია, საგანგებოდ მიგვანიშნებს, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო დაღესტნელი აბრაგების თავდასხმების შედეგად ზოგადად საქართველოში და მათ შორის ახალგორის მხარეშიც. „ამ ბატონმა (დავით ერისთავმა - დ.ა.) ამის შემდეგ ბევრჯერ მომცა მცველი რაზმი 50, 100 და მეტი კაცისაგან, ხშირად საკუთარი მეთაურობით; უამისოდ ზოგი ექსკურსიები შეიძლებოდა ჩაშლილიყოო".

---

[51] (ძეგლევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987: 266).

[52] (თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951: 51).

[53] (ბოგანო, საქართველო, ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997: 451).

პირველ რიგში, სწორედ ლეკებისაგან თავდასაცავად სჭირდებოდა უცხოელ მოგზაურს ამდენი ხალხის თანხლება. უფრო მეტიც, ერეკლე მეორეს ზოგჯერ 1000 კაციანი მცველთა რაზმითაც კი უხდებოდა გადაადგილება საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში... ახალგორი შანშე ერისთავთან დაახლოებული ლეკებისთვის, ნაცნობი მხარე იყო, ქსნის საერისთავოს ეკონომიკური შესაძლებლობები დღენიადაგ იზიდავდა აბრაგებს, რომლებსაც საერისთავოს ცენტრამდე, მის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები უნდა გაევლოთ, რის შედეგადაც გაჩნდა არაერთი გაპარტახებული ადგილი, მათ შორის „განადგურებული სოფელ ძეგლევის ნაშთები" და „ნაოხარი სოფელი ოძისი" (გიულდენშტედტი, 1962: 49-51). სამართლიანად უწოდებს ვ. ხოცუაშვილი ყოველივე ზემოთქმულს შანშესდროინდელ ნაიარევს (ხოცუაშვილი, 1988: 4). აქედან გამომდინარე, აღარაა გასაკვირი ოძისისა და ძეგლევის მოსახლეობის გაღატაკება, ბოგანოდ გადაქცევა, ან გადახვეწა საკუთარი მიწიდან. ეს მკვეთრად ცვლიდა დემოგრაფიულ ვითარებას, რაც შეინიშნება 1774 წლის აღწერაში, სადაც მითითებულია, საიდან უნდა ყოფილიყო ზოგიერთი კომლი აქ დამკვიდრებული" …[54]

კ. კახაძის ცნობით, ე.წ. „ლეკთა გზა" ოძისზე გადიოდა, რამაც XVII-XVIII საუკუნეებში სოფელს მძიმე შედეგები მოუტანა …[55]

გიულდენშტედტის მონაცემებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ლეკიანობა სხვადასხვა რეგიონისთვის სხვადასხვაგვარი საფრთხის შემცველი იყო, თუ ქსნის ხეობის ზემო წელზე შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, ახალგორის სამხრეთით ეს საფრთხე გაცილებით დიდი იყო. ამაზე მიგვანიშნებს ვ. ითონიშვილიც „საშიშროება

[54] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 36-37)...

[55] (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.5, თბ., 1990: 288)...

რეგიონების მიხედვით მეტ-ნაკლები ხასიათის იყო. ამის საფუძველს ქმნიდა ამა თუ იმ გზის საკომუნიკაციო მნიშვნელობა, მოგზაურობის ინტესიურობა". [56]

ოძისიდან ქსოვრისის მიმართულებით მოგზაურობისას გიულდენშტედტი მისულა განადგურებული სოფელ ილტოზის მიდამოებში. ახალგორიდან ქსოვრისამდე გზას იგი ასე აგვიღწერს: „გზა მიდიოდა თითქმის სულ პირდაპირ სამხრეთით, ძირითადად, ქსნის აღმოსავლეთით ნაპირის პარალელურად, მისგან ოდნავ დაშორებით, მთისწინეთის ძირის გაყოლებით, რომელიც ჩადიოდა ქსნამდე და რომელიც იქ ქსოვრისთან სულ მთავრდება, აქედან მთისწინეთამდე სულ დაბლობებია.

ეს მთისწინეთი ქსნის კალაპოტისადმი საერთოდ ძალიან ციცაბოა. მხოლოდ ოძისის გარშემო დაბლდება, ისე, რომ მის ირგვლივ მყოფი გარემო, დაახლოებით 3-4 ვერსზე, არის მშვენიერი მდელო; დანარჩენი ნაწილი კი გზისა მიდიოდა ხშირად ბუჩქნარში, რომელიც შედგებოდა ბევრჯერ დასახლებული ხეებისა და ბუჩქებისაგან, რომელთაგან ზოგი ყვაოდა, ზოგს უკვე ეყვავილა და ზოგსაც ჯერ არ დაეწყო ყვავილობა" .[57]

გიულდენშტედტი ქსნის ხეობის სოფლების უმეტესობას პირადად ესტუმრა, ზოგიერთი მათგანი კი სოფელი ოძიდიან შეუნიშნავს: „ოძისიდან ჩანს ქსნის დასავლეთით მდებარე სოფელ ახმაჯის ნანგრევები, ხოლო ილტოზის დასავლეთით ჯერ კიდევ დასახლებული პატარა ციხე ლამისყანა და ამბობენ, რომ ოძისსა და

[56] (ითონიშვილი ვ., უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მატიანე", 2005: 14).

[57] (ითონიშვილი ვ., უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მატიანე", 2005: 14).

ილტოზას შორის მაღლობზე აღმოსავლეთით უნდა იყოს ასევე აოხრებული სოფელი ჯაშა." [58]

რაც შეეხება ლარგვისის მიმდებარე ტერიტორიებს... 1772 წლის 1 ივლისს ლარგვისიდან გამგზავრებული გიულდენშტედტი წერს: „ლარგვისიდან ჩვენ მივდიოდით ხან სამხრეთ-დასავლეთით, ხან ჩრდილო - დასავლეთით, ჯერ მდინარე ჭურთას ზევით და 3 საათის შემდეგ ვიყავით ოსურ სოფელ ცქუნეთში"[59] .

ლარგვისის ჩრდილოეთით მიგვითითებს ცხრაზმის ხეობის სოფლებზე: „ლომისის ქვევით, ქართველებით დასახლებული სოფლებია: 1. დადიანეთი, 2. ზოდეხი, 3. აბუთკარი, 4 თოხთა, 5. მახიარეთი, 6. დაბაკნეთი, 7. უკანამხარე, 8. ჩანშე (?), 9. ჩიტიანთკარი და 10. წინუბანი." [60]

გერმანელი მკვლევარი უშუალოდ ეწვია ლარგვისის ჩრდილოეთით მდებარე ქარჩოხის ხეობას, როცა ლარგვისიდან 1772 წლის 1 ოქტომბერს ლომისის გავლით რუსეთისაკენ გაემგზავრა: „ლომისი, ჟამურს ქვემოთ, საფერშეთის ახლოს, ზემოთ ქსნის მარცხენა სანაპიროზე. იქ არის საბადოები. მისი სოფლებია: 1. ცაკლარი; 2. შმორის ციხე; 3. ქარელ(თ კარ) ი; 4. შატაკიანთკარი; 5. ბალახანთკარი; 6. ძაბოეთი; 7. ხოზოეთი; 8. კვერნეთი; 9. ჭორჭოხი; 10. მიდელანთკარი; 11. ხარბალი; 12 ქენქანთკარი; 13 ბეგუანთკარი; 14. ყველდაბა.[61]

როგორც დ. ახლოური შენიშნავს, „ქარჩოხის ხეობის სოფლები, საკუთარ სახელთა საძიებელში შეცდომით ოსეთის სოფლებად არიან მოხსენიებულნი, ხოლო ქარჩოხი ქართულ მხარედ" .[62]

---

[58] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 51).
[59] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 95).
[60] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 275).
[61] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., II: 63).
[62] (ახლოური დ., სოფელი მიდელაანი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2006: 12; ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში: 36).

ცალკეა აღწერილი საფერშეთი, რომელიც ექვსიოდე სოფელს შეიცავს და ცალკე ჟამურის ხეობა და მიუთითებს, რომ ესენია „ერთმანეთში არეული ქართული და ოსური სოფლები, რომლებიც კარგად ეთვისებიან ერთმანეთს". ზოგჯერ გიულდენშტედტი შეცდომით ასახელებს სოფლის სახელწოდებებს, მაგალითად, ერედის ნაცვლა ირედოს, ყანჩავეთის ნაცვლად კანშარეთს, ჩიგოიანის ნაცვლად ძეგოიანს... გაუგებარია საერთოდ ზოგიერთი სახელწოდება: ნგოშე, ხამატატკან, ჩგაგოლი... ხდება ისეც, რომ ერთსადაიმავე სოფელს სხვადასხვა ხეობათა რიგში ახსენებს, თუმცა აღვნიშნოთ ისიც, რომ უცხო მოგზაური უცხო ქვეყანაში ასეთი შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ იქნებოდა.[63]

მთავარია, რომ მისი ცნობები ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის შესასწავლად.

გერმანელი ავტორებიდან აღსანიშნავია აგრეთვე იაკობ რაინეგსის ცნობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი რუსეთის რეზიდენტი იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის კარზე და ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში (1774-83). რაინეგსის მოღვაწეობით თავის დროზე დაინტერესდა კავკასიის ხაზის უფროსი გრიგოლ პოტიომკინი, რომელსაც იგი თავისთან გაუწვევია. 1782 წელს რაინეგსი საგანგებო დავალებას იღებს და როგორც რუსეთის საქმეთა რწმუნებული, ჩამოდის საქართველოში ერეკლესა და სოლომონის კარზე. მისი მიზანი იყო ქართველი მეფეების რუსეთისკენ გადაბირება. პოტიომკინის დავალებით რაინეგსს ხელი უნდა შეეწყო ერეკლესთვის რუსეთთან დაახლოებაში, ხოლო იმერეთის მეფისთვის უნდა ერჩია, რომ შემორიგებოდა ერეკლეს და ერთიანი ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ მიემართათ.... გერმანელი მოგზაური ცდილობდა, ერეკლე მეორესაგან წამოსულიყო ინიციატივა რუსეთის მფარველობაში შესვლაზე, რაც იყო კიდეც ეკატერინე მეორის მთავრობის მიზანი. აი, ასეთი გავლენიანი და საქართველოს საქმეებში ჩახედული

[63] (ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში: 37). (ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში: 37).

კაცის, როგორიც რაინეგსი იყო, ცნობები, ცხადია უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

რაინეგსი ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრს ახალგორს პატარა ქალაქად მოიხსენიებს, ისევე, როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე კიდევ ერთი უცხოელი - ფრანგი ოფიცერი შარლ დე გრაი დე ფუა, გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი, რომელიც რუსეთის არმიაში მსახურობდა რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774) დროს. დე ფუა 1770 წელს შემოდის საქართველოში და 1777–1783 წლებში წერს მემუარული ხასიათის რელაციას, რომელიც პირველად 1954 წელს გამოსცა ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა. რელაციაში საუბარია ტოტლებენის ჯარის სამხედრო გზით სტეფანწმინდაში შემოსვლაზე, მის შეხვედრაზე ერეკლე მეორესთან და სოლომონ პირველთან. აღწერილია ქართველთა და რუსთა ჯარის ოსმალებთან ბრძოლა, ნაჩვენებია საქართველოს პოლიტიკური წრეების პრორუსული ორიენტაცია. ამასთან, გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ისტორიას, კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული ყოფის საინტერესო დეტალებს. ავლენს გარკვეულ სიმპატიას ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიმართ და მას მიიჩნევს ერთ-ერთ საუკეთესო სტრატეგად., დე ფუა ამ ყველაფერთან ერთად საუბრობს ახალგორზეც: ქართლის „მესამე სადროშო თავადი ერისთავისაა და აერთიანებს გლეხებს მისი კუთვნილი მიწებიდან, მათ შორის, ქალაქ ახალგორიდან, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნის.[64]

რაინეგსის ცნობით, „გორის ჩრდილოეთით და შემდეგ ჩრდილო აღმოსავლეთით კავკასიის მთისწინები გადადიან გრძელ, ნაკლებ განიერ, მაგრამ ნაყოფიერ ველში, სადაც ქსნის მრავალრიცხოვან ნაკადულებზე ძევს **ახალგორი** (ახალი გორი), პატარა ქალაქი; მისი მოსახლეობის მეტ წილს ასევე ქრისტიანი

[64] (დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985: 53).

სომხები შეადგენენ, რომლებიც თითქმის ყველანი ბამბის ან ტილოს მქსოველები არიან. ისინი უმთავრესად ამზადებენ სხვადასხვანაირ ბამბის ქსოვილებს და ხელსახოცებს, რომლებსაც ორივე მხარეს მოკლე კვანძიანი ფოჩები აქვს და ბანაობის შემდეგ ტანის გასამშრალებლად იხმარება".[65]

გერმანელი მოგზაური ახალგორის ბუნებრივი წიაღისეულის შესახებაც წერს: „ახალგორთან რკინის მადნები და ნაპრალები (ხევები) სავსეა რკინის ოქრას მიწით და სისხლას ნაჭრებით. ამ მაგნიტურ რკინაქვაში ხშირად ძევს აგრეთვე შაბიამნის სოლები, რომელთა სისქე ზოგჯერ ორი დიუიმია (2,54 სმ), ხოლო სიგრძე ხუთი დიუიმი. გარეთა ფერი უფრო ყავისფერია, ვიდრე თვით მაგნიტური რკინაქვაა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა შაბიამნიანი მიწა, რომელსაც სარგებლიანად იყენებენ გეორგიაში მღებავები და ტარსიკონის (წიგნის ყდის გადასაკრავი რბილი ტყავი - დ.ა.) მკეთებლები. მდინარე ქსნის ახლოს, მთის ძირას, რომელზეც დანგრეული ციხე მთის-ქალი (მთის ქალწული) დგას, მოიძიება გოგირდი თეთრ-მონაცრისფერო ალმადანის სახით, ასეთივე შეფერილობის ჭუჭყიან ხვინჭიან თიხასთან ერთად; მაგრამ ის გამოუყენებელია. გეორგიელები გოგირდს სომხეთსა და თურქეთში ყიდულობენ".[66]

რაინეგსი ყურადღებას ამახვილებს მდინარე ქსანზეც და წერს, რომ მისი განშტოებები ახალგორთან ერთდებიან, შემდგ კი „მიედინებიან წყალუხვად ორ ტოტად, ჯერ სამხრეთ - დასავლეთით; როგორც კი დაბლობს მიუალვნდებიან, მარჯვენა ტოტი აღმოსავლეთისაკენ გაუხვევს".[67]

რაინეგსის ცნობებიდან საყურადღებოა ასევე ლარგვისთან დაკავშირებით მონათხრობი: „მრავალტოტიან მდინარე ქსანსა, ლარგვსა და პატარა ლიახვს შორის (ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე ძევს ძველი მაგარი მთის ციხე ბელოთი)

---

[65] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002: 149).
[66] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში: 194).
[67] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში: 150).

უკავიათ სგრუ-ს გვარის მრავალრიცხოვან ოჯახებს; ამათ სოფლებში დიდი რაოდენობით არიან ებრაელებიც, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქ ქსილვანში, ანუ ქრც(ხ)ინვალში დიდ ლიახვზე".[68]

აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიაქცია პროფ. დ. ახლოურმა. იგი მიმოიხილავს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ლარგვისის დემოგრაფიულ სურათს და ასკვნის, რომ „XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლარგვისში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ლარგვისში ურიათ უბანი ეწოდებოდა ადგილს, სადაც ებრაელებს „სავაჭრო ჰქონიათ". შესაძლებელია, სწორედ ეს ადგილი ჰქონდა მხედველობაში 1778-1781 წლებში საქართველოში მყოფ გერმანელ მოგზაურს."[69]

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქსნის საერისთავოს მოსახლეობის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს 1804 წელს ჩატარებულ პირველ რუსული კამერალური აღწერის მონაცემები. როგორც პროფ. ი. ალიმბარაშვილი აღნიშნავს: „1804 წლის კამერალური აღწერის ჩატარება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ ორჯერ გადატანილი (1797 და 1800) შავი ჭირის ეპიდემია... ქვეყნიდან გადასახლებულ ბაგრატიონთა და მათ ერთგულ თავადთა მფლობელობაში მყოფი გლეხთა რაოდენობის დადგენა, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური ცვლილებები და სხვა.

აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისთვის შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე, 1806 წლის წელს სახაზინო ექსპედიციისთვის გენერალური უწყება შედგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, რომლის მიხედვით, სულ აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ რაიონებში (აღწერა არ

[68] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში: 149).
[69] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 287).

შეხებია მთიულეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს) აღირიცხა 153, 6 ათასი, ხოლო გორის მაზრაში 33, 4 ათასი გადამხდელი.[70]

ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა იწყება სოფელ თეზით. დასაწყისში აღნიშნულია, რომ სათავადო ეკუთვნოდა მეფის ძეს იოანეს და ამჟამად ერისთავების მფლობელობაშია.

თეზი საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთის სასაზღვრო ზოლის სოფელი იყო. ამჯერად კასპის მუნიციპალიტეტში შედის. მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, მუხრანის ვაკის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან დაშორებულია 620 მეტრით. თეზი ოდითგანვე იყო დასახლებული, რასაც აქ აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა ადასტურებს.[71]

აღწერის მიხედვით სულ სოფელ თეზში უცხოვრია 36 ოჯახს, 120 მამაკაცს და 82 ქალს. ისინი არიან ერისთავის, გავრილა რატიშვილისა და იოანე ნათლისმცემლის საეკლესიო ყმები.

„მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თეზში მოსახლეობის დიდი ნაწილი თანამედროვე ახალგორის მუნიციპალიტეტიდან იყო ჩასახლებული: თინიკაშვილი თინიკაანიდან, დორეული დორეთკარიდან, ილურიძე ილურთკარიდან, ბუჯიაშვილი ჭურთიდან, ხრიკული ნახიდიდან, პავლიაშვილი პავლიანთკარიდან, ბუნტური ცხავატიდან, შერმადინი მშველიეთიდან ან გარეშემო სოფლებიდან, ბაშარული დაბაკნეთიდან, ხოკრიშვილი ვაკედან, შიუკაშვილი უკანამხრიდან და ასე

[70] (ალიმბარაშვილი ი., ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბილისი, გამომცემობა „მერიდიანი", 2019: 36).

[71] (თეზი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 4. თბ., 1979: 637).

შემდეგ... ზოგადად, ქალაქ კასპში და მის სოფლებში ქსნის ხეობიდან მიგრირებული ასეულობით ოჯახი ცხოვრობს".[72]

ოძისში 32 ოჯახი ცხოვრობდა, 106 მამაკაცი და 99 ქალი. როგორც თეზში, საეკლესიო ყმები აქაც იყვნენ, ერისთავის გარდა ყმები ეკუთვნოდა სამების (4 ოჯახი) და ღვთისმშობლის ეკლესიებს (1 ოჯახი). როგორც თეზის, ისე „ოძისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაა გადასახლებული: ნავროზაშვილები და რაზმაძეები - საძეგურიდან, ტატუნაშვილები - ყანჩავეთიდან, პავლიაშვილები - პავლიანიდან, ოდიშვილები და ბერიანიძეები - დადიანეთიდან, ილურიძეები - დორეთკარიდან, მელთაურები - ლარგვისიდან, შერმადინები - მშველიეთიდან, მაჭარაშვილები უკანამხრიდან ან ყველდაბიდან, საბიაშვილები ჭორჭოხიდან, ბაშარულები დაბაკნეთიდან, ყოჩიშვილები, ღუნაშვილები და ბასილაშვილები - ალევიდან, ფსუტურები - ნახიდიდან, მელაძეები - ჯორთისიდან, ძებისაშვილები - ჟამურის ხეობიდან და ასე შემდეგ... შესაძლებელია, ზოგიერთ ოჯახს გარკვეული შუალედური რგოლის გავლაც მოუწია ოძისში დასახლებამდე, ანუ სამკვიდროდან წასვლის შემდეგ რამდენჯერმე მოუხდათ საცხოვრებლის შეცვლა. ვფიქრობ, ქსნის ხეობის მთის სოფლებიდან უნდა იყვნენ, წარმოშობით, ოძისში ერეკლე დროს მოსახლე ჩიტიშვილები და ხუციშვილები, ასევე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მცხოვრები ოქრუაშვილები"...[73]

აღწერაში ოძისს მოჰყვება იკოთი, ქსნის ერისთავების მოურავ ფიცხელაურების სოფელი. ამიტომაც აქ ყმების ნაწილი ერისთავებს ეკუთვნით, ნაწილი - ფიცხელაურებს. 51 ოჯახიდან 33 კომლი ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა (105

[72] (ახლოური დ., სოფელ თეზის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ჟურნალი „გულანი", 2020: 9).

[73] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 29-51).

მამაკაცი, 109 ქალი), 18 კომლი - ფიცხელაურების (74 მამაკაცსა და 50 ქალი), სულ 179 მამაკაცი, 159 ქალი, რაც იმ დროის კვალობაზე არცთუ მცირე რიცხვი იყო .[74]

იკოთის შემდეგ ახალგორია, სადაც მცხოვრები 93 კომლიდან, მხოლოდ სამია ქართველად მითითებული, დანარჩენი სომხები და გასომხებული ქართველები არიან. ანანურის მაზრაში მცხოვრები 154 სომეხიდან 90 კომლი ახალგორელთა სიებში გვხვდება... ერისთავის ყმების გარდა აქ გვხვდებიან ქართული ეკლესიის ყმები - 13 ოჯახი და სამების ეკლესიის ყმები - 3 ოჯახი. სულ სულ ახალგორის მოსახლეობა 518 მოსახლეა, აქედან - 288 მამაკაცი, 230 - ქალი. გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა რუსულ აღწერაში ელჩუაშვილების ერთი ნაწილი ქართველებადაც არიან აღწერილნი, მეორე ნაწილი - სომხებად. ქართველთა გასომხების მიზეზებსა და ფაქტებზე არაერთხელ მიუთითეს ქსნის ხეობის ისტორიის ცნობიმა მკვლევარებმა: დ. გვრიტიშვილმა, ვ. ღუნაშვილმა, რ. ოვაშვილმა, ვ. ხოცუაშვილმა, რ. თოფჩიშვილმა, დ. ახლოურმა და სხვებმა. ამდენად ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით...

„XIX საუკუნის დასაწყისის ახალგორის მოსახლეობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქსნის საერისთავოში და თვითონ ახალგორშიც ყმები და მამულები ერისთავთა სახლეულის რამდენიმე წარმომადგენელს ეკუთვნოდა, რაც ჩანს გაყრის წიგნებიდან". [75]

რუსულ აღწერაში, შედარებით მრავალრიცხოვანი სოფლებია ასევე ალევი (33 კომლი, 270 მამაკაცი, 244 ქალი, სულ 514... ამ სოფელში მდებარეობს ოქროსკარიანი სამების სალოცავი და ყმებიც მას ეკუთვნოდნენ), ლამისყანა (64 კომლი, 199 მამაკაცი, 174 ქალი, სულ 373), წირქოლი (40 კომლი, 154 მამაკაცი, 115 ქალი, სულ - 269), საძეგური (39 კომლი, 170 მამაკაცი, 152 ქალი, სულ: 322), საფერშეთი (25 კომლი, 112 მამაკაცი, 99 ქალი, სულ: 211). ახალგორიდან ქარჩოხამდე აღწერილი სოფლებიდან

[74] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 52-80).

[75] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 81-135).

მცირერიცხოვანნი იყვნენ კორინთა (6 კომლი, 27 მამაკაცი, 22 ქალი, სულ: 49), საქორეთი (5 კომლი, 20 მამაკაცი, 12 ქალი, სულ: 32), ლორო (6 კომლი, 20 მამაკაცი, 15 ქალი, სულ: 35). ჩამოთვლილი სოფლებიდან მხოლოდ საფერშეთში ცხოვრობდნენ ოსები, დანარჩენი სოფლების მოსახლეობა ქართველები იყვნენ, რაც რუსულ წყაროშიცაა მითითებული. რაც შეეხება ქარჩოხის ხეობას. მდინარე ქსნის სათავე შედგება ქარჩოხის, ცხრაზმის და ჭურთის ხეობებისგან... ქარჩოხი ლარგვისის ზემოთ, ჩრდილოეთით მდებარეობს, ცხრაზმა - ჩრდილო-აღმოსავლეთით... ჭურთულა ქსნის მარჯვენა შენაკადი და ქსანს ლარგვისთან უერთდება ქსანს...

ქარჩოხის ხეობა დღეს უკვე სოფელ ელოიანიდან იწყება, ბოლო სოფელი ჭორჭოხია, ადმინისტრაციული ცენტრი კი ძველი ახალდაბა და დღევანდელი ბალაანია. საბჭოთა ხელისუფლების დროს ქარჩოხი მოიცავდა გაცილებით ვრცელ ტერიტორიას: ნავიხევი, ოხირი, ჩიგოანი, ელოიანი, თინიკაანი, წიპტაური, პავლიანი, კარელთკარი, ბალაანი, მიდელაანი, ქენქაანი, ხოზოეთი, ჭორჭოხი.

„მეთვრამეტე საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის (1783 წელი) მიხედვით ქარჩოხის ხეობას მიკუთვნებული აქვს 12 სოფელი: ჭორჭოხი, ახალდაბა (ახლანდელი ბალაანი), შატაკიანთკარი (დოჩიანი), პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, ვაკე (კარელთკარი), კვერიათი (წიპტაურთი), მიდელაანთკარი, ხოზოეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი (ამჟამად ნასოფლარი), კორინთა... უფრო ადრინდელ, 1774 წლის აღწერით ქარჩოხის თემში 11 სოფელი შედის - გოლგოლეთის მოსახლეობა სოფელ ქენქაანთკარსაა მითვლილი და არცაა გასაკვირი, ისინი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ და ორივე სოფელში ქენქაძეები ცხოვრობდნენ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, სოფელი კორინთა, რომელიც ქარჩოხსაა მითვლილი, ტერიტორიულად ქარჩოხის ხეობას საკმაოდაა დაცილებული, იგი ახალგორთან უფრო ახლოსაა, დაბის ცენტრიდან 7 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს. მეთვრამეტე საუკუნეში ეს სოფელი ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა,

რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროისთვის იქ, ძირითადად, სოფელ თინიკაანიდან გადასახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი სახლობდა... მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი კორინთის 6 კომლიდან 5 ერისთავს ეკუთვნოდა, ერთიც ფიცხელაურს. ბოლოს კორინთა სათემო ცენტრი იყო სოფლების: გეზევრეთი, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხერკელაანი." [76]

1804 წლის აღწერის მიხედვით ქარჩოხში 13 სოფელია მითითებული: ჭორჭოხი, ახალდაბა, შატაკიანთკარი, პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, კარელთკარი, კვერიათი, მიდელაანთკარი, ხოზუეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი, ლომისა და ოხირი. აღწერა ჭორჭოხდან იწყება, რომელიც რუსულ წყაროში შეცდომით ქარჩოხადაა ნახსენები. ჭორჭოხი ხეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელია - 30 ოჯახს უცხოვრია: აქედან 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის წარმომადგენელს. ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ბალხამიშვილები იყვნენ - 12 ოჯახი, აქ ასევე ცხოვრობდნენ საბიაშვილები - 7 ოჯახი, ქაწაშვილების და ბუთხუზები (3-3 ოჯახი), ფოცხვერაშვილები - 2 ოჯახი, ფოციტაშვილები - 2 ოჯახი, შერმაზანიშვილები - 1 ოჯახი.

ჭორჭოხი 2-ჯერ და მეტადაც აღემატება მოსახლეობის რაოდენობით ხეობის სხვა სოფლებს. ჭორჭოხის შემდეგ შედარებით მრავალრიცხოვანი სოფლებია: შატაკიანთკარი (15 კომლი, 57 მამაკაცი, 45 ქალი, სულ: 204), პავლიანთკარი (14 კომლი, 77 მამაკაცი, 56 ქალი, სულ: 133), თინიკაანკარი (11 კომლი, 52 მამაკაცი, 43 ქალი, სულ: 95), ქენქათკარი (10 კომლი, 43 მამაკაცი, 34 ქალი, სულ: 77), გოლგოლეთი (10 კომლი, 32 მამაკაცი, 27 ქალი, სულ: 59), ხოზუეთი (9 კომლი, 36 მამაკაცი, 21 ქალი, სულ: 57), კარელთკარი (8 კომლი, 44 მამაკაცი, 36 ქალი, სულ: 80), მიდელაანი (8 კომლი, 38 მამაკაცი, 30 ქალი, სულ: 68), ლომისა (8 კომლი, 31 მამაკაცი, 29 ქალი, სულ:

[76] (ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 21 თებერვალი, 2020: 1-2).

60), ოხირი (8 კომლი, 37 მამაკაცი, 35 ქალი, სულ: 72), კვერიათი (7 კომლი, 28 მამაკაცი, 12 ქალი, სულ: 40). საინტერესოა, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის კომლები ახალდაბაში, ქარჩოხის ხეობის ადმინისტრაციულ ცენტრშია დაფიქსირებული - 3 კომლი, თუმცა ამ სამ კომლში 28 მამაკაცი და 18 ქალი, სულ 46 მოსახლე ერთიანდებოდა. ქარჩოხის ხეობის აღწერილი 13 სოფლიდან 11 ქართული იყო და ამ სოფლებში არცერთ ოსს ან სხვა ეროვნების წარმომადგენელს არ უცხოვრია, ეს სოფლები ბოლო დრომდე მთლიანად ქართულად დარჩა. ოსებით დასახლებულ სოფლებში - „ლომისსა და ოხირში, მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე ქსნის სათავეებთან დამკვიდრებული ოსები იწყებენ ჩამოსახლებას. ოხირი ლომისის ზემოთ, მის დასავლეთითაა... ქართულია ტოპონიმებიც".[77]

ქარჩოხის ხეობას ჭურთისა და ცხრაზმის ხეობების მოსახლეობათა აღწერები მოსდევს. ამ ხეობების სოფლების უმრავლესობა ქართველებით იყო დასახლებული. ქართველები ცხოვრობდნენ: ილურთკარში - 8 კომლი, მეწყეერში - 6 კომლი, დორეთკარში - 7 კომლი, გავაზში - 8 კომლი, მოჭალიეთში - 6 კომლი, ხარბალში - 10 კომლი, მშველიეთში - 11 კომლი, ცხავატში - 37 კომლი, ნახიდში - 9 კომლი, ქურთაში - 17 კომლი, ყველდაბაში - 9 კომლი, დადიანეთში - 30 კომლი, წიკლაურიში - 18 კომლი, თოხთაში - 12 კომლი, დაბაკნეთში - 9 კომლი, უკანუბანში - 10 კომლი, უკანკარში - 9 კომლი, ჩიტიანში - 11 კომლი, წინუბანში - 7 კომლი... ოსებით დასახლებული სოფლები იყო: ძაბუეთი - 15 კომლი, კუცხოეთი - 16 კომლი, ველისა - 5 კომლი, საბარკლეთი - 21 კომლი, ჭარანი - 8 კომლი, კარა - 13 კომლი, ციხე - 7 კომლი, ჯორთისი - 18 კომლი, ჩხუნეთი - 4 კომლი, ჯანგანთკარი - 5 კომლი, იკეთი - 5 კომლი, ხრომისწყარო - 6 კომლი, მუჯუხი - 15 კომლი... მთლიანად ოსებით იყო დასახლებული ჟამურის ხეობა, სადაც 10 სოფელია აღწერილი: გორგა, ზემო ბაგინი, კიბილანი, შუა ბაგინი, ცაგო, ჩერქეზანი, ვაკე, ციხილები, ხოსიანი, ქვემო სოფელი. ბაგინის სოფლებიდან მრავალრიცხოვანია: ციხილები (17 კომლი, 70 მამაკაცი, 69

[77] (ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში: 11).

ქალი, სულ: 139 სული), ვაკე (16 კომლი, 76 მამაკაცი, 42 ქალი, სულ: 118 სული), ქვემო სოფელი (15 კომლი, 60 მამაკაცი, 53 ქალი, სულ: 113 სული), შუა და ზემო ბაგინში - 10-10 კომლს უცხოვრია, კიბილანში - 9 კომლს, გორგასა და ხოსიანში - 5-5 კომლს, ჩერქეზანში - 4 კომლს, ცაგოში - 3 კომლს. სულ აღწერაში მითითებულია 1066 კომლი, 4481 მამაკაცი, 3568 ქალი, სულ 8049 მოსახლე .[78]

აღწერიდან ჩანს, რომ ქსნის ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწლი ქართველები იყვნენ. ოსები ცხოვრობდნენ მთის ხეობებში, ჟამურში, ქარჩოხში, ჭურთაში, ცხრაზმაზე, ალევის ხეობაში... სომხები - ახალგორში.

ოსურ გვარებს „ფირტ" - აქვთ დაბოლოება, რაც ძის, შვილის აღმნიშვნელი იყო. აღწერაში ასევე „შვილითაა" დაბოლოვებული როგორც შვილზე, მაგალითად, ბალაშვილი, ისე ძე-ზე (ქენქაძეშვილი) და ურ-ზე (ახლოურიშვილი) დაბოლოებული ქართული გვარებიც...

რაც შეეხება ქსნის ხეობაში ოსების დასახლების საკითხს, რომელსაც არაერთი მკვლევარი შეეხო... იმდენად დიდია საკითხით დაინტერესება, ყველა ავტორს ვერც ჩამოვთვლით, მაგრამ აუცილებლად გვინდა გავიხსენოთ რამდენიმე მოსაზრება: რ. თოფჩიშვილის მიხედვით: XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ ჯეჯორის ხეობის სათავეს (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეს (ჟამური). ჟამურში ოსები გადმოდიან ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან და ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. კუდაროში - დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ მკვიდრდებიან დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, შემდეგ ქსნის ჟამურში.[79]

ვ. ღუნაშვილის აზრით, შანშე ერისთავის ირანელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შემდეგ „ქსნის საერისთავოში უამრავი ადამიანი დაიხოცა, ბევრიც

---

[78] (ალიმბარაშვილი ი., ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით: 49-50).

[79] (თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997: 219).

თურქეთში გადავიდა და გათურქდა, ხოლო ცხრაასი ადამიანი ავღანელმა ჯარისკაცებმა ზოგი დახოცეს და ზოგიც დაყიდეს, შეიძლება დავასკვნათ: ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. შანშემ ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილი ჟამურის ხეობასა და საფერშეთში XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო შემდგომ 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში".[80]

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის მიხედვით, ჟამურის გარდა ოსები ცხოვრობდნენ ჭურთის ხეობაში, სხვა ხეობებში და მათ შორის ალეურაზე ოსთა განსახლების შესახებ არაფერს ამბობს. საფერშეთის მხარის ოსურ ახალშენებზე ინფორმაციას გიულდენშტედთან და იოანე ბატონიშვილთან ვხვდებით.[81]

რ. თოფჩიშვილი ერთმანეთს ადარებს ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერათა მონაცემებს და მიაჩნია, რომ ალევის ხეობაში ოსური დასახლებები XVIII საუკუნის ბოლოდან გვაქვს: „თუ შევადარებთ ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის სიებს, ესე იგი XVIII საუკუნის 30-იანი წლებისა და XVIII საუკუნის დასასრულისა, დიდ სხვაობას ვნახავთ. XVIII საუკუნის განმავლობაში ქსნის ხეობაში ოსები სხვა პუნქტებშიც დასახლებულან. მათ უფრო დაბლობისაკენ ჩამოუნაცვლიათ. ვახუშტის დროინდელი სამი ოსის სოფელი მდინარე ჭურთაზე, რვა სოფლად იქცა. ქართველებმა კი დაიკლეს და ექვსი ქართული სოფლის მაგივრად ორი სოფელი დარჩა... ეს ცვლილება ძირითადად XVIII საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ის ქართული გვარები, რომლებიც აქ მკვიდრობდნენ 1774 და 1781 წლების აღწერით, XIX საუკუნის დასაწყისში ჭურთაზე აღარ არიან და მათ

[80] (ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით): 276).

[81] (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1986; 36)

განსახლებებს ვხვდებით ქართლ-კახეთის სხვადასხვა სოფელში. ი. ბაგრატიონის მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოს, ალევის ხეობაში სამი ოსური სოფელი წარმოქმნილა... ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთი) - ორი. იოანე ბაგრატიონს ქსნის ხეობაში ახალი ოსური სოფელი მითითებული აქვს იფნევს, ერთი სოფელიც ცხრაწყაროსა და ლოგოშეთს შორის. ახალი ოსური სოფელი იყო ძაბოეთიც, მუჯუხიც. ერთი ოსური სოფელი წარმოიქმნა ქარჩოხშიც". [82]

დ. ახლოურის დასკვნით: „ის ფაქტი, რომ ჟამურში და ჭურთის ხეობაში XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა უკვე ცხოვრობდა, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, ალეურას ხეობაში ოსები უფრო გვიან უნდა დასახლებულიყვნენ." [83]

ერთი ცხადია, ქსნის ხეობაში ქართველებსა და ოსებს შორის მუდმივად მშვიდი, კეთილმეზობლური და ნათესაური ურთიერთობები იყო და ეს ურთიერთობები მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება. 1804 წლის რუსული კამერალური აღწერა კი შესანიშნავი დადასტურებაა, განვსაზღვროთ, ვის ეკუთვნოდა ისტორიულად ქსნის საერისთავო.

[82] (თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, 1997: 146).
[83] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 240).

2. ქსნის საერისთავოს სოფლების ეკონომიკური ყოფა

მკვლევარები ქსნის საერისთავოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ორ ნაწილად ყოფენ მთად და ბარად. აქედან გამომდინარე, მეურნეობის ხასიათი მთასა და ბარში განსხვავებული იყო.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: ვახუშტის აღწერით: „ზებეყურის მთა არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა. ამ კლდეს ქუეით მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა".[84] ვახუშტი საუბრობს კორინთის კლდეზე და იგი მიაჩნია ქსნის ხეობის მთისა და ბარის რეგიონების გამყოფად.

გ. ჩიტაიას დაკვირვებით კი „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე - ახალგორი), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისს ზევით)". [85]

ჩიტაიას მიხედვით კორინთის მეურნეობა მთის ძირის მეურნეობას შეეფარდება, რის გამოც მიგვანიშნა ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის მკვლევარა ლ. გვრიტიშვილმა, მაღალ კონცხზე მდებარე სოფელი კორინთა „ვახუშტისეულ „ვენახოვან, ხილიან, მოსავლიან" და გ. ჩიტაიას მიერ დადგენილ მთის ძირის სამეურნეო ზონაშია მოქცეულიო." [86]

---

[84] (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება: 360).
[85] (ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანი, „ენიმკის მოამბე", ტ. V-VI, თბ., 1940: 486).
[86] (გვრიტიშვილი ლ., ქსნის ხეობის სოფლების ისტორია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII, 1997: 147).

აქედან გამომდინარე საფეოდალო თუ რომელი დამპყრობლის დადგენილი გადასახადები წარმოებული სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით განისაზღვრებოდა, რაც ჩანს იმ უცხოური წყაროებიდანაც, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, განვითარებული და ეკონომიურად ძლიერი დასახლება ჩანს, რომელიც დუქნების სიმრავლით გამოირჩევა. თურქულ წყაროში 23 დუქანია მითითებული.[87]

გ. სოსიაშვილის აზრით, „ეს ციფრი გაზვიადებული არ არის, რადგან ახალგორი ქსნის საერისთავოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც სავაჭროდ მოსული მთისა და ბარის მოსახლეობა თავს სწორედ იქ იყრიდა" .პ. იოსელიანი ახალგორს ვაჭრობის უძველეს ცენტრად მიიჩნევდა. დ. ახლოური ფიქრობს, რომ ახალგორს ეს ფუნქცია მე-15 საუკუნიდან უნდა შეესრულებინა, როდესაც იქ დამკვიდრებას იწყებენ სომხები .[88] „ქსნის საერისთავოში ორი სავაჭრო - საბაზო ცენტრი იყო. ახალგორი და მეჯვრისხევი. ამ ცენტრებში ხდებოდა ადგილობრივი და შემოტანილი საქონლით ვაჭრობა. სავაჭრო საქმიანობას უმთავრესად ახალგორელი და მეჯვრისხეველი ვაჭრები აწარმოებდნენ. ხშირად ეს ვაჭრები თბილისსა და გორში ცხოვრობდნენ და სავაჭრო საქონლით იქიდან ამარაგებდნენ საერისთავოში მცხოვრებთ .[89] ქსნის ერისთავები დიდად უწყობდნენ ხელს საერისთავოში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და საბატონო ბეგასრისგანაც ათავისუფლებდნენ.

თურქულ დავთარში დუქნების რაოდენობასთან ერთად მითითებულია იმ გადასახადების ოდენობა, რომელიც დამპყრობლებმა ადგილობრივ მოსახლეობას დააკისრეს ვენახზე, ერბოზე, ცხვარზე, მიწაზე, წისქვილზე, ღორზე, ხილზე, თივაზე... ისფენჯი კაცი 67, თითოეულს 12 ახჩა 8040 უშრის გადასახადი ვენახზე,

[87] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 423)

[88] (ახლოური დ., ახალგორის ისტორია: 134).

[89] (გვრიტიშვილი დ., „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან", ტ.2, 1965: 43).

დონუმი 50, თითოეულს 40 ახჩა 4000 გადასახადი ერბოზე 200 არუსანეს გადასახადი 180 გადასახადი ცხვარზე 490 დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 3502 გადასახადი ღორზე 390 წისქვილის თვალი 5, სრული წლით, გადასახადი 600 უშრის გადასახადი ხილზე 120 გადასახადი თივაზე 250 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალე გაიფ მალი მეფკუდ 4800 .[90]

ნ. გორგაძის დაკვირვებით: „გადასახადი მარცვლეულ კულტურებზე არ ევალება ქსნის ხეობის ერთადერთ სოფელს - ახალგორს. საფიქრებელია, რომ მიწათმოქმედების ეს დარგი აქ საერთოდ არ ყოფილა განვითარებული. ახალგორში დიდი რაოდენობით იხდიან გადასახადს (4000 ახჩა) ვენახზე, ღორზე (3900 ახჩა), დეშთიბანსა და მიწის თაფუზე; ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახალგორში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა და მესაქონლეობა".[91]

დ. ახლოურის მოსაზრებით კი დავთრის მიხედვით, „ხსენებული სოფელი (ახალგორი - დ.ა.) ქვიანი ადგილია, იქ დასამუშავებელი ადგილები არაა", რეგისტრირებულია ვენახები, სათიბები და ბეითალმანები. ბეითალმანი ი. გრიშაშვილის მიხედვით, უმემკვიდრეოდ დარჩენილ ქონებას გულისხმობდა... ახალგორში რომ გაცილებით მეტი მიწებია სახნავად გამოსაყენებელი, ვიდრე მის ჩრდილოეთით მდებარე ქსნის ხეობის სოფლებში, ეს ცნობილია, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, ადგილობრივებს ნაკლები ყურადღება მიექციათ მარცვლეული კულტურების მოყვანაზე, მათი ძირითადი საქმიანობა იყო ვაჭრობა, ხელოსნობა და, როგორც ოსმალური წყაროდანაც ჩანს, მისდევდნენ მევენახეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეღორეობას".[92]

---

[90] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 423).

[91] (გორგოძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.)" მიხედვით: 420)

[92] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 88-89).

ოსმალთა სასარგებლოდ ახალგორელები სულ 8040 ახჩას იხდიან. ახჩა თურქული ვერცხლის ფულის ერთეულის - თეთრის აღმნიშვნელი იყო. „ოსმალეთის ხელისუფლებას ახალგორიდან გადასახადების სახით 22 570 ახჩა ჰქონდა შემოსავალი. გადასახადების იგივე ჯამია დაფიქსირებული ახალგორში, პროფ. ნ. შენგელიას მიერ სტამბოლის არქივში მიკვლეულ მეორე თურქულ დოკუმენტში - „თბილისის ლივის სამეუფო ხასები" .[93]

ნ. გორგოძეს, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი იყო ქსნის მოსახლეობის გადასახადები ქსნის ხეობის სოფელი მუთი, რომელიც 26 კომლიანია და მოსახლეობას წელიწადში უწევს 11 000 ახჩის ღირებულების სხვადასხვა სახის გადასახადის გადახდა ოსმალთა სასარგებლოდ, მათ შორის ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ვენახზე, ცხიმზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე, მიწის ტაფუზე, წისქვილზე, ხილზე... და საქორწინო გადასახადის გადახდაც კი ევალებოდათ. აღნიშნულზე დაკვირვებით გორგოძე აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქსნისა და არაგვის ხეობის სოფლებში წამყვანი დარგები იყო მიწათმოქმედება ანუ მარცვეული კულტურების წარმოება და მეცხოველეობა მეცხვარეობა, მეღორეობა, ასევე სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა.[94]

გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე და სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქსნის ხეობის სხვადასხვა სოფელში გადასახადები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. როგორც უკვე ვთქვით, ახალგორელები არ იხდიან გადასახადს მარცვლეულ კულტურებზე: ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე. წისქვილზე გადასახადი არ ეკისრებათ ჩამჩუნის, კუდითის, მაზანას, იკუდის...

---

[93] (სოსიაშვილი გ., ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით (XVIII საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისი): 14-15).

[94] (გორგოძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.)" მიხედვით: 420-421).

მოსახლეობას. ხილის გადასახადს არ იხდიან ჩამჩუნის, კუდითის, მაზანას იკუდის, ზირქუდის... მოსახლეობა. სწორედ შენიშნა ნ. გორგოძემ: აღნიშნულ სოფლებში მეხილეობა არ იქნებოდა განვითარებული ან უმნიშვნელო რაოდენობითო. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს გადასახადები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ სოფელში განვითარებულ სოფლის მეურნეობის დარგებზე.

მეორე მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ქსნის საერისთავოს შესახებ წარმოდგენას გვიქმნის გახლავთ 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერა. დავიწყოთ ისევ სოფელ თეზის მოსახლეობით, რომელიც ქსნის ხეობის ბარის სოფელია. თეზში მცხოვრებთა მფლობელობაშია 83 დღის სახნავად გამოსაყენებელი მიწა, მოჰყავთ 360 თუნგი ღვინო, აქვთ 1 წისქვილი და იხდიან 22 მანეთსა და 70 კაპიკს.

გადასახადების მიხედვით ჩანს, რომ სოფლის მოსახლეობის ძირითადი დარგი მემინდვრეობაა, მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ პური, ხორბალი, ქერი...

თეზის მიწები ნაყოფიერია და ძირითადად, სახნავად იყენებდნენ, რის გამოც მთის ჭარბი მოსახლეობის ბარისკენ მოიწევდა. „ერისთავების ყმები, უმეტესწილად, ისევ ერისთავის მამულში მკვიდრდებოდნენ. მემინდვრეობის გარდა, აქ განვითარებული ყოფილა მევენახეობა და მეფუტკრეობა, რომელსაც, ძირითადად, საეკლესიო ყმები მისდევდნენ, მათ ევალებოდათ სწორედ იოანე ნათლისმცემლის ტაძრისთვის ცვილისა და საკმევლის გაღება. ასევე, ბუნებრივია, განვითარებული იქნებოდა მეცხოველეობა და მესაქონლეობა; მთიდან ჩამოსული ხალხი, ადვილად ვერ შეელეოდა ტრადიციულ საქმიანობას, ოღონდ ამ დარგის ხვედრითი წილი შედარებით მცირე ჩანს... მხოლოდ საეკლესიო ყმებს ევალებათ ტაძრისთვის საკლავის შეწირვა, თუმცა არაა მითითებული, რა სახით იხდიან გადასახადს ერისთავის ყმები, რომლებიც მუხრანელის მიწაზე იდგნენ".[95]

[95] (ახლოური დ., სოფელ თეზის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში: 8).

218 დღის სახნავი მიწა რეგისტრირებული სოფელ ოძისში, აქვთ 21 ყურძნის ბაღი, საიდანაც იღებენ 2875 თუნგ ღვინოს, მათ მფლობელობაშია 1 წისქვილი, გადახდილი აქვთ 49 მანეთი და 97 კაპიკი. ერთმანეთისაგან განსხვავებულია სახაზინო და საეკლესიო ყმების გადასახადები. სახაზინო ყმები იხდიან ნაღდ ფულსაც და ნატურის სახით ხორბალს, ქერს, კარაქს, ქათამს, კვერცხს და ასე შემდეგ. საეკლესიო ყმების ვალდებულებაა ეკლესიას შესწირონ ცხვარი, ღვინო, გამომცხვარი პური, ცვილი, საკმეველი.[96]

სოფელ იკოთის მცხოვრებთა საკუთრებაშია 459 დღის სახნავი მიწა, 2 წისქვილი, 62 ყურძნის ბაღი, საიდანაც იღებენ 9342 თუნგ ღვინოს. ხაზინის სასარგებლოდ იხდიან 36 მანეთსა და 5 1/2 კაპიკს. დ. ახლოურის მინიშნებით, „იკოთის მიწები მოსავლიანია და სახნავად მთლიანად გამოსაყენებელი, მემინდვრეობისა და მევენახეობის ხვედრითი წილი მაღალია... 62 ყურძნის ბაღი აქვთ და მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო... 1816 წელს შედგენილი ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღწერაში მკვეთრადაა შემცირებული ღვინის ბაღების რაოდენობა, იმ დროისთვის იკოთში მითითებულია 30 ღვინის ბაღი და წლიური მოსავალი - 5000 თუნგი ღვინო... რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 1804 წელს იკოთის მცხოვრებთა სიაში ახლოს მდებარე უბნებისა და სოფლების მოსახლეობაც გააერთიანეს. ზოგადად, იკოთში მევენახეობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ მას, იკოთელების გადმოცემით, პატარა კახეთად მოიხსენიებდნენ...

თავისი საკუთარი „ხატის ვენახი" ჰქონდა სოფლის დასავლეთით, შაოსანთა მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც ღვინოს წურავდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მევენახეობასთან ერთად სოფელში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მემინდვრეობა, მოჰყავდათ პური, ხორბალი, ქერი... მისდევდნენ ასევე მესაქონლეობას. გადასახადს მესაქონლეობის ნაწარმითაც

[96] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 48).

იხდიდნენ, მაგალითად - კარაქით... გადასახადში ასევე შედიოდა ქათამი და კვერცხი. ნატურით გადასახადს ნაღდი ფულიც ემატებოდა."[97]

იკოთური ღვინოები თავისი მაღალი ხარისხითაც გამოირჩეოდა, XIX საუკუნის 70-ან წლებში იკოთში ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურთან სტუმრად ყოფილა ილია ჭავჭავაძე. დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იმდენად მოსწონებია იქაური ღვინო, გლეხებისთვის ვაზის კულტურის ფართოდ დანერგვა ურჩევია.[98]

ახალგორზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ თურქული დავთრის მიხედვით, რუსული აღწერიდან კი ჩანს, რომ ახალგორელთა საკუთრებაშია 32 დღის სახნავი მიწა, აქვთ 7 წისქვილი, 88 ბაღი, მოჰყავთ 11096 თუნგი ღვინო. ხაზინისთვის გაღებული აქვთ 257 მანეთი და 40 კაპიკი. თუ თურქულ წყაროში მოხსენიებულია 4 წისქვილი, რამდენიმე ათეულ წელიწადში წისქვილების რაოდენობა თითქმის ორჯერ გაზრდილა. ოსმალური დავთრისგან განსხვავებით ახალგორში სათიბად გამოსაყენებელი მიწები აღარაა მითითებული, თუმცა, ზოგადად, სახნავი მიწების ხვედრითი წილი, განსხვავებით ბარის სხვა სოფლებისა, მცირეა, სულ 32 დღის მიწა, ეს მაშინ, როცა მეზობელ სოფელ იკოთში 459 დღის სახნავი მიწა აქვთ. არ არის გამორიცხული, ახალგორში არსებული წისქვილებით მეზობელი სოფლების მოსახლეობაც სარგებლობდა, რადგან იკოთში სულ 2 წისქვილია დაფიქსირებული. „რუსული სტატისტიკური აღწერიდან ჩანს, რომ აქ მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა კვლავაც ვაჭრობა იყო და გადასახადებსაც ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლით იხდიდნენ, თუმცა გვაქვს განსხვავებული შემთხვევებიც, მაგალითად, გოგია ებიტაშვილი, ავეტიკ ბურდიაშვილი და მიქელა პაპაშვილი გადასახადს ხელსაქმით იხდიან. გადასახადი არ გადაუხდიათ და გადახდა პურის მოსავლით ევალებათ ბერო და ტეტია გათენაშვილებს... ვისაც მიწა არა აქვს და გამომუშავებაზეა, არაფერს იხდის...

[97] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 77-78).

[98] (ცაგურიშვილი თ., ქსნის ხეობა, იკოთი, ჟურნალი კარიბჭე, 18.05.2007).

ჩანს, რომ ახალგორში ტრადიციულად მისდევენ მევენახეობას, მთლიანობაში მოჰყავთ 11096 თუნგი ღვინო". [99]

წისქვილების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა სოფელი ალევი, სადაც მოსახლეობის საკუთრებაშია 461 დღის სახნავი მიწა, 205 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 13 წისქვილი, 372 თივის ზვინი, 18 ბაღი, მოჰყავთ 3109 თუნგი ღვინო, არიან სამების ეკლესიის ყმები და ეკლესიისთვის იხდიან 112 მანეთსა და 10 კაპიკს. ალევში უკვე ჩანს, როგორც სახნავი, ისე სათიბი მიწების სიმრავლე, 372 თივას თიბავდნენ, თუმცა სახნავი მიწები ბევრად ჭარბობს.

სახნავი მიწების სიმრავლე სჭარბობს სოფელ წირქოლშიც, რომელიც ახალგორის ჩრდილოეთით, მისგან 6 კმ. - ის დაშორებით მდებარეობს, აქ 205 დღის სახნავი მიწა აქვთ, 9 დღის სათიბი, თიბავენ 51 თივას, აქვთ 2 წისქვილი, 35 ბაღი, სადაც მოჰყავთ 4564 თუნგი ღვინო. „სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემინდვრეობაა, აქვთ ბაღები და მიწების დიდ ნაწილს სახნავად იყენებენ, მისდევენ მეღვინეობას, ასევე - მესაქონლეობას, მაგრამ სათიბი მიწების ხვედრითი წილი, სახნავთან შედარებით, ბევრად მცირე ჩანს, უმრავლესობას მოსავალში ერთი ან ორი ძირი თივა აქვს მითითებული. რამდენიმე ოჯახი ახალმოსახლეა, მაგალითად: ზაზილა შალიკაშვილი, გლახა დორსულა შვილი, დათუნა მიდელაური... მათ მიწები არ აქვთ და არც გადასახადს იხდიან".[100]

სათიბ მიწებთან შედარებით ვენახების სიმრავლით გამოირჩევა აზნაურ კორინთელების ძველი სამკვიდრო - კორინთა, სადაც მოსახლეობის მფლობელობაშია 30 დღის სახნავი მიწა, 16 დღის - სახნავად გამოუყენებელი. 11 თივა, 2 წისქვილი, 6 ბაღი, 1320 თუნგი ღვინო. ხაზინისთვის გადაუხდიათ 19 მანეთი და 20 კაპიკი. მაგრამ, როგორც ვახუშტი ამბობს კორინთის კლდის ზევით - ჩრდილოეთით არის „იწრო და

[99] (ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2: 132-133).

[100] (ახლოური დ., სოფელი წირქოლი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, სამეცნიერო სტატიების კრებულში: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2020: 173).

მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა".

მთის სოფლების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ქარჩოხის ხეობის სოფელი ჭორჭოხი, სადაც მიწების საკმაოდ დიდი რაოდენობა ჰქონიათ, 136 დღის სახნავი და 188 დღის - სახნავად გამოუყენებელი. თიბავდნენ 255 თივას, ხაზინისთვის გადაუხდიათ 31 მანეთი და 34 კაპიკი. მოსახლეობა გადასახადს იხდის ცხვრის, თხის, ქათმის, კვერცხის, კარაქის, ერბოს და მარცვლეული კულტურების სახით. თუ XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის (სამთავისის საყდრის) გამოსავლის დავთრის მონაცემებს XIX საუკუნის აღწერის მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გადასახადები „ტრადიციულია", ქათამი და 5 კვერცხი, ასევე ნატურით იხდიან ცხვრის, თხის, პურისა თუ ხორბლის სახით, ოღონდ თუ XVIII საუკენეში რამდენიმე ოჯახი ვალდებულია ცხვარიც გადაიხადოს და თხაც, მეცხრამეტეში ზოგი ოჯახი ნაღდ ფულსაც იხდიდა.... საშუალოდ რომ განვსაზღვროთ, ძროხის ღირებულება იყო 4-5 მანეთი, ცხვარი 1 მანეთი ღირდა, ქათამი 5 კვერცხთან ერთად - 12 კაპიკი და ასე შემდეგ. მთის სოფლებში მევენახეობა საერთოდ არ იყო განვითარებული, მეხილეობა ნაკლებად, ძირითადად მისდევდნენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას .[101]

შედარებით განსხვავებული სიტუაცია იყო შედარებით უფრო მაღალმთიან ზოლში, სადაც ოსები სახლობდნენ. იქ მოსახლეობის ძირითადი და მთავარი საქმიანობა მეცხველეობა იყო, ჰყავდათ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი. ოსური მოსახლეობა, მკვიდრ მოსახლეთაგან განსხვავებით მეტ გადასახადს იხდის. მაგალითად, სოფელ ლომისში დამკვიდრებულ კიბილა კასა ფირტს, რომელსაც 6 დღის სახნავი და 12 დღის - სახნავად გამოუყენებელი მიწა აქვს, გადაუხდია 1 ხარი (დაკოდილი), 7 ცხვარი და 4 ბატკანი, სულ 20 მანეთი და 20

[101] (ახლოური დ., სოფელი ჭორჭოხი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, „ქართული წყაროთმცოდნეობა", ტ. XXII, 2020: 222).

კაპიკი. ამდენივეა აქვს გადახდილი ბოაატკო აფცი ფირტს, ზოგს შედარებით ნაკლები, რაც დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე და მოსავლიანობაზე.

თავი მეორე

სამუხრანბატონო

1. სამუხრანბატონოს სოფლები 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით

სამუხრანბატონო, რომელიც ფეოდალურ საქართველოში სამხედრო - ადმინისტრაციული ერთეულს წარმოადგენდა, XVI საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ქართლის მეფეთა დომენში. სათავადოს სამეფო დინასტიის ერთი შტო ხელმძღვანელობდა და ისინი მუხრანბატონებად იწოდებოდნენ. ჯ. გვასალიას მიხედვით: „სამუხრანბატონოს ძირითადი მუხრანის ველზე მდებარეობდა. სამუხრანბატონოს წარმოშობა დაემთხვა შინაპოლიტიკურ კრიზისს, როდესაც ქსნისა და არაგვის ერისთავთა ცდას მიეტაცებინათ სამეფო დომენი, დაერთო კახეთის მეფის ავგიორგის ლაშქრობა მუხრანში. სამუხრანბატონოს წარმოქმნა იყო სამეფო დომენის გადარჩენის ერთგვარი ცდა."[102]

დ. გვრიტიშვილი სამუხრანბატონოს წარმოქმნის მიზეზებს იმ პერიოდში ქვეყანაში შექმნილ საერთო სიტუაციას უკავშირებს, მისი აზრით ავ-გიორგის ლაშქრობებმა კი ეს პროცესი დააჩქარეს. „სამუხრანბატონო 1512 წელს წარმოიქმნა. ზოგი ცნობით ბაგრატი მეფედაც იწოდებოდა, მაგრამ ბაგრატიონთა ამ შტოს საბოლოოდ არ შერჩათ მეფეების სახელი, თუმცა მათ სხვა თავადთან განსხვავებით მუხრანბატონობა შეინარჩუნეს.

ყოველ სათავადოს, როგორც ეს დადგენილი არის, თავისი დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია; ერთი ამ ნიშანთაგანია ციხე-დარბაზი და სამუხრანბატონოსაც, როცა

[102] (გვასალია ჯ., სამუხრანბატონო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985: 40).

იგი დამოუკიდებელ ერთეულად იქცა, საამისო ნიშნებიც გაუჩნდა; აკი პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ბაგრატმა ციხე ააშენაო".[103]

სამუხრანბატონოს ჩამოყალიბების პერიოდში მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე არაგვამდე მიდიოდა, სამხრეთიდან მტკვარი ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით გრემისხევი, დასავლეთით ქსნის საერისთავო. ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებით სამუხრანბატონოში შედიოდა „ახალციხე, ქინძარა, საფურცლე, საგუდე, გოროვანი, კიჯინიანი, წეროვანი, სხალტბა, ქანდა, ციხისძირი, ნასპარსევი, ნასტაკისი, აღაიანი, ქადაგიანი, ბეგთათავი, ჩანგილარი, ვარდისუბანი, შიოსუბანი, ოკამი, თეზი, ლამისყანა, ახალდაბა, ირტო, ნოტრევი, ჭაშა, ხვითი, ქსორივი, დამპალეთი, ჯიგრაშენი, სუმბიანი, კოდისწყარო, მჭადისჯვარი, გენეფერი, ჯვარმაგარი, გენესმანი, გრემისხევი, ტონჩა, უჟანო, ებნისი, ჭილუტი, საბურდიანო, ტყვილიანი, ყურისუბანი, გოგილური, ძალისი, წილკანი, ჭაპური, ახალუბანი, მისაქციელი, ხირი, ოფერხიდი, ფრეზეთი, ახალციხე, ციხებოდავი" .[104]

დ. გვრიტიშვილის დაკვირვებით: „ვახუშტის მიერ სოფლების ასეთი დალაგება ემყარება მის მიერ სამუხრანბატონოს საზღვრების დადგენის პრინციპს. სამუხრანბატონოში შემავალი სოფლების ჩამოთვლას სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრიდან იწყებს და მიჰყვება სამხრეთ - დასავლეთით, შემდეგ ჩამოთვლის დასავლეთსა და ჩრდილო - დასავლეთის სოფლებს და ასე შემდეგ. ახლა თუ ვახუშტის ამ ცნობას შევადარებთ სხვა წყაროებს, მივიღებთ შემდეგს:

[103] (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები): 106-107).

[104] (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: 353).

მუხრანბატონები თავიანთ სამფლობელოს, ისე როგორც ყველა დანარჩენი თავადი, თუ კი დროს იხელთებდნენ, ზრდიდნენ. ეს ტენდენცია სამუხრანბატონოს მისი წარმოქმნის დღიდანვე ემჩნეოდა".[105]

ახლა ვნახოთ როგორი სიტუაციაა სამუხრანბატონოში თურქული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამ მხრივ საყურადღებოა 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი და სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732). ჩვენ აღნიშნული წყაროების მიხედვით გავაანალიზეთ ქსნის საერისთავოში არსებული მდგომარეობა და აღვნიშნეთ, რომ ეს წყაროები თითქმის იდენტურ ცნობებს გვაწვდიან სოფლებისა და გადასახადების შესახებ და ესეც ჩვეულებრივია, რადგან ერთმანეთის თანადროული პერიოდისანი არიან.

ამჯერად განვიხილავთ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარს. მუხრანის ნაჰიე თურქული წყაროების მიხედვით, იმ პერიოდსთვის საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში ჩანს. სოფლების უმეტესობა მოსახლეობისაგან დაცლილია, თუმცა გარკვეული გადასახადები თითოეულ სოფელს მაინც აქვს შეწერილი. როგორც ჩანს მამულები მაინც მუშავდებოდა.

მუხრანის ნაჰიეს აღწერა იწყება მცხეთის ეკლესიით, რომელიც ექვემდებარებოდა მუხრანს:

მუხრანის ნაჰიე

მცხეთის ეკლესია ექვემდებარება მუხრანს

დანიელ ძე არუთინასი მღვდელია

ივანე ძე ავთანდილისა

იასე ძე მისირამაზა ძე თუდონისა

მამუკა ძე მართასირისა

---

[105] (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები): 108).

შიო ძე ბერუკასი

გიორგი ძმა მისი

გიორგი ძმა ესტატესი

გიორგი ძე გითოსი

დავით ძე დიმიტრისა

ჯაბალი ძმა მისი

ჯამი მარცვლეულისა

ისფენჯი კაცი 11 ახჩა 1320

ხორბალი ქილა 100 ახჩა 3816

ქერი ქილა 80 ახჩა 1200

ჭვავი ქილა 20 ახჩა 300

ფეტვი ქილა 40 ახჩა 600

გადასახადი ცხვარზე 1500

გადასახადი ერბოზე 200

გადასახადი არუსანეზე 120

გადასახადი სკაზე 120

გადასახადი თივაზე 180

დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 200

გადასახადი ღორზე 180

გადასახადი მურახხასიე გაბრანზე 14 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ 250

შემოსავალი დაჭერილ თევზზე ჯამი 5000

საერო ჯამი 15000

მტკვარზე დასაჭერი თევზის ადგილი ახლოსაა მცხეთის ეკლესიასთან. აქედან გორის საზღვრამდე როგორც კი მიაღწევს და აქედან მდინარე არაგვის საზღვრამდე გრძელდება. მისი ხაზები მოიცავს მცხეთის მთელ საზღვრებს.

სამთავროს ეკლესია ცარიელია რეაიასაგან. ხსენებული ეკლესია დაკავებული იქნა.

მიწის დღიური მფლობელობა 250

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3000"[106]

როგორც ვხედავთ, მცხეთის ეკლესიას დაქვემდებარებაში მყოფ მოსახლეობას გადასახადი უნდა გადაეხადათ ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ცხვარზე, ერბოზე, სკაზე, თივაზე, მიწაზე, ღორზე, დაჭერილ თევზზე... აქვე წყაროში მოხსენიებულ რამდენიმე ტერმინსაც შევეხებით. ისფენჯი პროფ. ნ. შენგელიას მიხედვით ქრისტიანი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწაზე დაწესებული გადასახადი იყო და მისი გადახდა ევალებოდათ ოსმალთა დაქვემდებარებაში მყოფ ქრისტიანებს .[107]

არუსანა საქორწილო გადასახადი იყო, რომლის გადახდა არა მხოლოდ სამუხრანბატონოში, არამედ სხვა სათავადოებშიც გვხვდება და უტოლდებოდა სკაზე გადასახადს. დეშთიბანი ველზე დაწესებული გადასახადი ყოფილა, თაფუ - მიწის გადასახადი. ბადიჰავაში „ისტორიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით შედიოდა სხვადასხვა სახის ჯარიმა: საქორწინო გადასახადი, მიწის თაფუ და სხვა. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, ბადიჰავას გადასახადი დამნაშავეების ფულად ჯარიმას წარმოადგენდა".[108]

---

[106] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 450).

[107] (შენგელია ნ., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XV საუკუნის ოსმალეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, ნაკვ., 2, თბ., 1962: 281).

[108] (სოსიაშვილი გ., ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით (XVIII საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისი): 21-22).

დანარჩენ ტერმინებში, მაგალითად ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ... მკვლევართა მოსაზრებით სხვადსხვა წვრილმანი გადასახადები უნდა იგულისხმებოდეს.

მცხეთისა და სამთავროს ეკლესიის აღწერას მოსდევს სოფელი ახალ ციხის შესახებ ცნობები:

„სოფელი ახალ ციხე ცარიელია რეაიასაგან. ხსნებული ეკლესია დაკავებული იქნა.

მიწის დღიური მფლობელობა 400

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 15 000".

სოფელ კოდმანის მცხოვრებთა შორის 15 მამრობითი სქესის წარმომადგენელია მითითებული:

დავით ძე ნათანასი

მახარა ძე დათუნასი

ზაალ ძმა მისი

ალვანა ძე ლაზარისა

ლაზარე ძე მისი

გიორგი ძე ბერისა

კულისა ძმა მისი

ადამ ძე ლევანისა

ბადად ძე ვასილისა

მამუკა ძე თუნიკასი

ათანას ძე ბაბუნასი

ანდრია ძე ლაზარისა

შიო ძე ოთარასი

თათა ძე რევაზისა

რევაზ ძე ნათასი

ჯამი მარცვლეულისა

ისფენჯი კაცი 15 ახჩა 1800

ხორბალი ქილა 200 ახჩა 4000

ქერი ქილა 150 ახჩა 1200

ჭვავი ქილა 80 ახჩა 300

ფეტვი ქილა 100 ახჩა 1500

გადასახადი ცხვარზე 1800

გადასახადი სკაზე 180

გადასახადი ერბოზე 180

არუსანეს გადასახადი 180

გადასახადი თივაზე 280

დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 200

გადასახადი ღორზე 380

ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ 280

საერო ჯამი 14250"

მცხეთის ეკლესიის ყმების და კოდმანის მცხოვრებთა გადასახადები თითქმის იდენტურია, განსხვავება რაოდენობაშია. ოღონდ კოდმანელები თევზზე გადასახადს არ იხდიან, რადგან ეს ტერიტორია მდინარესთან ახლოს არ მდებარეობდა და შესაბამისად მეთევზეობას ნაკლებად ან საერთოდ არ მისდევდნენ .[109]

[109] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 450-451).

კოდმანის შემდეგ აღწერაში რამდენიმე მოსახლეობისაგან დაცლილი სოფელია მითითებული:

„სოფელი საფურცლე ცარიელია რეისაგან, ექვემდებარება მუხრანს.

მიწის დღიური მფლობელობა 50

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10000

სოფელი ქინძარა ცარიელია რეისაგან, ექვემდებარება მუხრანს.

მიწის დღიური მფლობელობა 50

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2200

სოფელი გოროვანი ცარიელია რეისაგან, ექვემდებარება მუხრანს.

მიწის დღიური მფლობელობა 50

ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 9200" .[110]

სოფელ კარაველში სულ სამი მამაკაცია

რამაზა ძე დათუნასი

კაღინა ძე დადურასი

კაღია ძე კარისი

მიწის დღიური მფლობელობა 20

ისინიც ჩვეულებრივ იხდიან გადასახადს ცხვარზე, მიწაზე, სკაზე, ერბოზე, თივაზე და ა.შ.

ასევე სამი მამაკაცია მითითებული სოფელ სხალტბაში:

---

[110] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 451).

თამაზა ძე ოსითასი

ბერუკა ძე შიოსი

თამაზა ძე კოთისასი.

ორი მამაკაცს უცხოვრია სოფელ სახზირში:

აჯნან ძე ხაჩატურისა

ბეჟან ძე ბეროსი

ერთ მამაკაცია სოფელ კობინიანში:

ზურაბ ძე სარველისა.

დანარჩენი სოფლები მოსახლეობისაან ცარიელია. ასეთი სოფლებია მისაქციელი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10000), ციხისძირი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 25000), ქანდა (მიწის დღიური მფლობელობა 80, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000), ნადარბაზევი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10000), ნასპარსევი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4000), ქადაგიანი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000), აღაიანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 6000), წილკანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 18000), ძალისი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4000), ახალდაბა (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 12000), მცხეთა (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 6000), ტყვილიანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 15000), საბურდიანო (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000), უჟანო (მიწის დღიური მფლობელობა 80, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 5000), გენეფერი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4000), ჯვარმაგარი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და

სხვათაგან 18000), კოდისწყარო (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 16000), ყურის უბანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 18000), ჩუბინიანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 4000), თელოვანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 9000), ქსოვრისი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 25000), შიოსუბანი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 19000),

ბეგთა თავი (მიწის დღიური მფლობელობა 20, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 18000), ოკამი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 20000), თეზი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 7000), ბერი ერისთავი (მიწის დღიური მფლობელობა 50, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2900), წეროვანი (მიწის დღიური მფლობელობა 400, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 15000), რუსა (მიწის დღიური მფლობელობა 100, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000), კვირიკანი (მიწის დღიური მფლობელობა 150, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000), მუსადი (მიწის დღიური მფლობელობა 200, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000), ციხე ქადაგი (მიწის დღიური მფლობელობა 145, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000), საგუდა (მიწის დღიური მფლობელობა 185, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000), ჭილურდინუსი (მიწის დღიური მფლობელობა 200, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10000).[111]

აღნიშნული მონაცემები, წარმოდგენას გვიქმნის სამუხრანბატონოში არსებულ სოფლის მეურნეობაზე, როგორც ბარის რეგიონში აქ მემინდვრეობა ფართოდ იყო გავრცელებული, მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები: ხორბალი,, ქერი, ჭვავი, ფეტვი, რაც თურქებს დაბეგრილი ჰქონდათ, მისდევდნენ მეფუტკრეობას, მეცხოველეობას, მეღორეობას და შესაბამისად გადასახადს იხდიდნენ სკაზე,

[111] (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I: 451-456)

ცხვარზე, ერბოზე, თივაზე, ღორზე. დ. გვრიტიშვილი მუხრანბატონების მეურნეობას ორ ნაწილად ყოფს: „ერთი ნაწილი ეს გლეხური მეურნეობა იყო, ე.ი. მიწა გლეხებზე იყო მიმაგრებული და მუხრანბატონს, როგორც მფლობელს ღალას უხდიდა. ასეთ მიწაზე გლეხი სხვადასხვა სახის მეურნეობას აწყობდა: ნაწილზე ვენახს აშენებდა, ნაწილზე ბაღ-ბოსტანს, ხოლო ნაწილი სახნავ-სათესად ჰქონდა გაშენებული. ამისდა მიხედვით უხდიდა იგი თავის პატრონს გადასახადს ნატურით.

მუხრანბატონის მეურნეობის მეორე ნაწილს შეადგენდა პირადად თავის განკარგულებაში მყოფი დიდი ზვრები, ფართე ბაღები, გრძელი ხოდაბუნები".[112]

ურთულესი მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, სამუხრანბატონო დაცლილია მოსახლეობისაგან. არადა, დავით გვრიტიშვილის გამოთვლით, სამუხრანბატონოს მცხოვრებთა რაოდენობა თავის დროზე დაახლოებით, 8.400 სული უნდა ყოფილიყო 7.[113]

მოსახლეობისაგან სამუხრანბატონოს დაცლა ამ შემთხვევაში თურქთა ლაშქრობების შედეგი უნდა ყოფილიყო, თუმცა აქ არაერთხელ შეცვლილა ვითარება ყიზილბაშთა და ლეკთა თარეშის შედეგად.

---

[112] (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები): 168-169).

[113] (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები): 109).

2. გერმანელი ავტორები სამუხრანბატონოს სოფლების შესახებ

გერმანელ ავტორთა ცნობებზე საუბარს გიულდენშტედტის მონაცემების ანალიზით დავიწყებთ.

როგორც ქსნის საერისთავოზე საუბრისას აღვნიშნეთ, 1772 წლის 2 მაისს გიულდენშტედტმა ახალგორი დატოვა და დავით ქსნის ერისთავის თანხლებით თბილისისაკენ გაემართა. ის ჯერ ქსოვრისში შეჩერებულა შემდეგ კი მუხრანისაკენ გაემართა. მოგზაურის აღწერით „ქსოვრისიდან გზა მიდიოდა სამხრეთით ქსნის ახლოს; 1 1/2 საათში ვიყავით მუხრანში. გზა შეიძლება 7 ვერსად ჩავთვალო, სამხრეთის მიმართულებით მიმავლად, მცირედი გადახრით აღმოსავლეთით, მთელი გზა მიდიოდა გაშლილ დაბლობ ველზე, რომელიც გამოყენებულია სახნავად, ხოლო მორწყვა ხდებოდა ქსნიდან გამოყვანილი არხების მეშვეობით. ნიადაგი შედგება მოყვითალო ნაცრისფერი თიხისაგან. აქ თითქმის ყველა მცენარე იყო თერგის სტეპების ტიპისა" .[114]

მოგზაური ღამის გასათევად მუხრანში რჩება, კონსტანტინე მუხრანბატონის აგებულ კოშკში, საიდანაც საშუალება ეძლევა დააკვირდეს ქსნის, არაგვის, მტკვრის სოფლებს. შესანიშნავს უწოდებს იგი გარემო სანახაობას თავისი ველებით, ქედებით, სოფლებითა და ციხეებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ციხისძირის დასავლეთით აშენებულ ნინოწმინდის ძველ ეკლესიაზე და აღნიშნავს, რომ იგი მირიან მეფემ წმინდა ნინოს პატივსაცემად ააშენაო. ალბათ ამ დიდებულმა სანახაობამ გადააწყვეტინა ციხისძირში ექსკურსიის მოწყობა: „5 ვერსზე გზა მიდიოდა ველზე, შემდეგ თანდათანობით ამაღლებულ მთის კალთებზე, მასზე ჩვენ ვიმგზავრეთ თითქმის 2 ვერსი ციხისძირამდე. ამ ადგილს აქვს 3 პატარა ეკლესია, 2 სომხური და ერთი ქართული წარწერებით; ირგვლივ ბევრი საფლავის ქვებია და

[114] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 53).

ნასახლარებისაგან დარჩენილი ორმოები. ხეობა, რომელთანაც მდებარეობს ციხისძირი, გადაჭიმულია მთის კალთიდან ქსნის მარცხენა ნაპირამდე".[115] მოგზაური მტკვართან ქსნის შესართავის სიახლოვეს ასახელებს სოფელ ნასტაკისს და აღმოსავლეთით ნასპარსევს, მის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი სიმაგრე ძეგვს. ნასტაკისი ადრე ელინისტური ხანის დასახლება იყო .[116]

ნასპარსევს ვახუშტი ბატონიშვილი „მუხრანის სამთავროს" 56 სოფელს შორის მოიხსენიებს, ძეგვს - მცხეთის „ქვეყანათა" სიაში [117]. აქვე დავამატებდით რომ სამუხრანბატონო ქართლის სათავადოებთან შედარებით გვიან წარმოიქმნა და როგორც ადმინისტრაციულმა ერთეულმა სხვა სათავადოებისაგან განსხვავებით გვიანდლამდე იარსება, მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებამდე .[118]

მუხრანში ჩასვლისას გიულდენშტედტი მეფეს სთხოვს მცველებით დახმარებასა და ბინით უზრუნველყოფას. სამუხრანბატონო არაგვის, ქსნისა და საამილახვროსგან განსხვავებით, გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, როგორც ვაკე ადგილი, დაუცველი იყო და მოგზაურს ლეკებისაგან თავდაცვა ესაჭიროებოდა. ლეკებს თვითონ კონსტანტინე მუხრანბატონიც კი მოუკლავთ, რაზეც წერდა კიდეც გიულდენშტედტი: „უკანასკნელი საკმაოდ ძლიერი მუხრანბატონი იყო კონსტანტინე, ბაგრატიონთა გვარიდან. ის მოკლეს ლეკებმა 14 წლის წინ თბილისის გზაზე და მას შემდეგ ყველაფეი განადგურებულია. მის ამჟამად 20 წლის ვაჟს იოანეს დანიშნული ჰყავს მეფის მეოთხე ქალი" .[119]

ცნობილია, რომ კონსტანტინე მუხრანბატონი 1756 წელს მოკლეს ლეკებმა ღართისკართან. 28 ივნისს, როცა გერმანელი ახალგორში იმყოფებოდა, ლეკები თავს დაესხნენ და გაძარცვეს მუხრანი... მუხრანზე საუბრისას, მოგზაური ყურადღებას

---

[115] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 55).

[116] (ბოჩოხაძე ა., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, „ძეგლის მეგობარი", №33, 1973: 37).

[117] (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV: 197

[118] (ნინიძე დ., მუხრანბატონები, თბ., 1993: 344; აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი): 107).

[119] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 57).

ამახვილებს ჭვავზე, რომელსაც უკვე თავთავი ჰქონია. გიულდენშტედტი ციხისძირში სამ პატარა ეკლესიასაც ასახელებს, სადაც სომხური და ქართული წარწერებია...

5 მაისს გიულდენშტედტი თბილისისაკენ გაემართა, გზად მეფე ერეკლეს გამოგზავნილი 300 კაცი დახვდა, რომლებსაც მშვიდობიანად უნდა გაეცილებინათ. 1772 წლის ივნისში გიულდენშტედტი ისევ დაბრუნდა მუხრანში, იგი გენერალ სუხოტინს გაჰყოლია მუხრანის ბანაკამდე და მეორე დღესაც იქ დარჩენილა... ვფიქრობთ, მუხრანის სამთავროს შესახებ არსებული გერმანელი მოგზაურის ცნობები მნიშვნელოვანი წყაროა სამუხრანბატონოს ისტორიისთვის.

მუხრანზე ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთი გერმანელი მოგზაური რაინეგსი, რომელიც მას ყველა მხარეზე უფრო აღმატებულად მიიჩნევს თავისი ნაყოფიერებით: „მტკვარი თავისი მრავალრიცხოვანი ტოტებით ქმნის კუნძულებს უნოყიერესი საძოვრებით. უკაცრიელი და დაუმუშავებელი მინდვრები მტკვარს ორივე მხარეს მისდევენ ქვეითკენ, სადაც ეს მდინარე უფრო მეტად უხვევს სამხრეთით და მთების მაგიერ მის ნაპირებს ქმნის სიგრძით თორმეტი, ხოლო სიგანით ხუთი საათის სავალი დაბლობი. ამ დაბლობზე მდებარეობს სამფლობელო *მუხრანი,* რომელიც ყველა მხარეს აღემატება ნაყოფიერებით". თუმცა, როცა იგი დემოგრაფიულ ვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას, მიუთითებს, რომ ძალზე მცირე მოსახლეობის მქონე სამფლობელოა.[120]

რაინეგსი მუხრანში არსებულ მარცვლეულ კულტურებზეც საუბრობს და აღფრთოვანებულია ამ მხარის მდიდარი მოსავლით.[121]

---

[120] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002: 148-150).

[121] (იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002: 195).

როგორც გიულდენშტედტი, ისე კიდევ ერთი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი მუხრანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიგვანიშნებენ სომხური მოსახლეობის კვალზე .[122]

ჩვენს ნაშრომში, ძირითადად, ყურადღება დავუთმეთ თურქულ წყაროებს, გერმანელ ავტორთა ცნობებს და პირველ რუსულ კამერალურ აღწერას, რომლებიც საკვლევი პერიოდის ქსნის ხეობის ორი მძლავრი სათავადოს - ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოს შესახებ არაერთ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ. მომავალში ვფიქრობთ ამ მიმართულებით კვლავაც მუშაობის გაგრძელებას და მეტი ინფორმაციის მოძიებას უცხოელ ავტორთა საქართველოსადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან.

[122] (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ., I: 55, ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002: 114).

დასკვნა

საქართველოს საინტერესო მხარეებით და მდიდარი მრავალფეროვნებით ძველთაგანვე დაინტერერსებულნი იყვნენ უცხოელი მოგზაურები.

არსებობს სხვადასხვა ქართული დაუცხოური წყაროები, რომლითაც შეგვიძლია წარმოდგენა გვქონდეს კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, მხარეზე, სოფელზე, ეკონომიკაზე კულტურაზე და ზოგადად ყველაფერზე.

მოგზაურთა გარკვეული ნაწილი განსაკუთრებით დაინტერესდა შიდა ქართლის ისტორიით და მრავალფეროვნებით. კერძოდ ქსნისა და ახალგორის შესახებ.

მრავალი მიზეზი არსებობს იმის, რომ ქსანი გამოირჩეოდა თავისი უნიკალური სოფლის მეურნეობის განვითარებით. ნაყოფიერი მიწების გამო მოსახლეობა მთიულეთიდან ჩამოდიოდა და სახლდებოდა. თუმცა უარყოფითი ის იყო, რომ ამ ნაყოფიერი მიწების გამო ხშირად მტრის შემოსევები ხდებოდა. იწყებოდა სოფლების დაცლა, არეულობა, მაშინდელი ერისმთავრები ყველანაირად ცდილობდნენ მოსახლეობის შენარჩუნებას, რათა ამ მხარეს არ დაეკარგა თავისი უნიკალურობა.

ქსნის ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წყაროებით და მატერიალური კულტურის ძეგლებით ერთერთი საინტერესო მხარეა.

მისი რელიეფი მრავალფეროვანია. ზემო მხარე მთაგორიანი, ლამაზი ტყით შემოსილი. მწვერვალები კი ალპური მდელოთი ამწვანებული. ქვემო მხარე ვაკეა, სადაც გაშლილია მუხრანის ველი ნაყოფიერი ბაღ-ვენახებით.

ქსანის სამთავროზე და სამუხრანბატონოზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგაზურები. კერძოდ: ე. აიხვალდი, ი. რეინგესი, ი. გიულდენშტედტი. მათ ნაშრომებში არაერთ მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს შევხვდებით, რომელიც შემდგომში დაეხმარა ისტორიკოსებს ზოგადი ისტორიის ჩამოყალიბებაში

კონკრეტულ მხარეზე, თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების შესახებ.

აღსანიშნავია ის, რომ მოგზაურებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს სხვადასხვა სფეროში. მაგალითად ი. რეინგესს წვლილი მიუძღვის ქართულ მიწაზე სამედიცინო კუთხით განვითარებაში. მან მეფის დახმარებით საექთნოს საქმის შემსწავლელი სასწავლებელიც გახსნა, რომელიც ახალგაზრდებს აძლევდა ცოდნას მედიცინის შესახებ. ყოველივე ეს მოსახლეობას დაეხმარებოდა ჯამრთელობის და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში.

გერმანელ მოგზაურებს საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქსნის საერისთაოს და სამუხრანბატონოს მართველებთან. მათი დახმარებით ხდებოდა ნაყოფიერი ექსკურსიები ადგილობრივ მხარეებში. ეს გულისხმობს იმას, რომ მაშინ ხშირი იყო ძარცვა ყაჩაღობები, რომლიც ხელის შემშლელი იყო ადგილმდებარეობის შესწავლისთვის.

ქსნის ერისთავები დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული ცივილიზაციით და სწორედ ამიტომ გერმანელი მოგზაურების ნაშრომები და კვლევები საუკეთესო საშუალება იყო გაეცნოთ მართველებს.

ასე რომ ორივე მხარისთვის საინტერესო და ნაყოფიერი იყო თანამშრომლობა. მნიშვნელოვანი იყო ასევე მაშინდელი ეთნიკურო მოსახლეობის ჩამოსახლება და ტრადიციები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მტრის შემოსევების შედეგად მოსახლეობის გადასახლება ხდებოდა, ამიტომ სამთავროს მართველები სხვადასხვა ხალხს უფლებას აძლევდა დასახლებულიყო ქსნის ტერიტორიაზე. მაგალითად ოსები, მთიელები და აშ.

საბოლოო ჯამში დასკვნის სახით შესაძლებელია დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობისთვის ცნობილი მოგზაურების ნაშრომებს, რისთვისაც ქართული ისტორიის დარგში უდიდესი საპატიო ადგილი აქვთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ალიმბარაშვილი ი., გურჯი ზადეს და ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობათა მნიშვნელობა ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების დაზუსტების თვალსაზრისით, გორის უნივერსიტეტის შრომათა კრებული, მიძღვნილი ქართულ-თურქული საერთაშორისო კონფერენციისადმი, 2014

2. ალიმბარაშვილი ი., ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბილისი, გამომცემობა „მერიდიანი", 2019

3. ალიმბარაშვილი ი., შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

4. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2006

5. ახლოური დ., სოფელი მიდელაანი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2006

6. ახლოური დ., უცხოელ ავტორთა ცნობები სოფელ ლარგვისის შესახებ (გიულდენშტედტი, XVIII საუკუნის 70-იანი წლები), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი, 2006

7. ახლოური დ., იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2007

8. ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 21 თებერვალი, 20207

9. ახლოური დ., სოფელ თეზის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ჟურნალი „გულანი", 2020

10. ახლოური დ., სოფელი ჭორჭოხი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, „ქართული წყაროთმცოდნეობა", ტ.XXII, 2020

11. ახლოური დ., სოფელი წირქოლი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, სამეცნიერო სტატიების კრებულში: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2020

12. ახლოური დ., ქსნის ხეობის ისტორია, ტ., 2, თბილისი, გამომცემლობა „საარი", 2021

13. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

14. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973

15. ბოგანო, საქართველო, ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997

16. ბოჩოხაძე ა., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, „ძეგლის მეგობარი", №33, 1973: 37

17. ბოჭორიძე გ., ორი ფილქვა, საისტორიო მოამბე, 1, 1925

18. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III. თბ., 1967

19. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983

20. გვასალია ჯ., სამუხრანბატონო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985

21. გვასალია ჯ., ქსნის საერისთავო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 10, თბ., 1986

22. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი", 1955

23. გვრიტიშვილი დ., „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან", ტ.2, 1965

24. გვრიტიშვილი ლ., ქსნის ხეობის სოფლების ისტორია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII, 1997

25. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962

26. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., II, 1964

27. გორგოძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის (1728 წ.)" მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №12, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005

27. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975

28. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985

29. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002

30. ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბილისი, ჟურნალ „არქიტექტურა და დიზაინის" გამომცემლობა, 2002

31. თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951

32. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009

33. თეზი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 4. თბ., 1979

34. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997

35. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002

36. ითონიშვილი ვახტ., ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2002

37. ითონიშვილი ვ., უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მატიანე", 2005

38. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1968

39. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1994

40. მეგრელიძე დ., ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973

41. მენაბდე ლ., გვასალია ჯ., საღარაძე შ., ლარგვისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ., 6, თბ., 1983

42. ნინიძე დ., მუხრანბატონები, თბ., 1993

43. ოსმალო ისტორიკოსი ჩელები ზადე თბილისისა და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ, აკად. ს. ჯიქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, 1973.

44. ოძისი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 7, 1984

45. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008

46. სოსიაშვილი გ., ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით (XVIII საუკუნე, XIX საუკუნის დასაწყისი), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2014

47. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა", 1963

48. ფუთურიძე გ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, №165, თბ., 1975

49. ქენქაძე ვ., ქსნის ერისთავების საქართველო, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2016

50. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით), გამოცემა მეორე, თბ., 2007

51. ყანჩავეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986

52. შენგელია ნ., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XV საუკუნის ოსმალეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, ნაკვ., 2, თბ., 1962: 281

53. ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანი, „ენიმკის მოამბე", ტ. V-VI, თბ., 1940

54. ცაგურიშვილი თ., ქსნის ხეობა, იკოთი, ჟურნალი კარიბჭე, 18.05.2007

55. ცინცაძე ო., რამდენიმე ახალი ცნობა მე-17 საუკუნის ქართლის ისტორიისთვის, მსკი, ნაკვ., 4, 1942

56. ძეგლევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987: 266.

57. „ძეგლი ერისთავთა" (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებული: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 1954

58. ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი „ლენინელი", №13, 1988